ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე სამშაბათს. №7 (1795) 8-21 აპრილი 2003

## დაუშვებელია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების დღეს გაყიდვა

„მუსირებს აზრი, ებრაელმა რევაზ არონიშვილმა 5 მილიონი დოლარი გადაიხადა იმისათვის, რომ აღნიშნული კანონი პარლამენტს მიეღოო. კანონის სესიაზე გატანა ითავა დეპუტატმა ზ. ცქიტიშვილმა, მას მხარს უჭერდნენ: ზ. ჟვანია, ვ. მერაბიშვილი, მ. სააკაშვილი, კ. დავითაშვილი და თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლები, რომლებიც „მიწის მესაკუთრეთა ინტერესების დაცვის ასოციაციის“ წევრებიც არიან.“

მე-7 გვ.

## პოლიტიკოსთა დაკა-დაკა-ორომტრიალი და საზოგადოების გულის ფრიალი

(ამონარიდი სადოქტორო დისერტაციიდან)

მე-6 გვ.

## რას მოელიან მოკავშირეები ბაღდადში



მე-3 გვ.

## ერაყის ომი

მე-2 გვ.

ფილოსოფიური თვალსაზრისით

## რისა ეშინიათ ერაყის მეზობლებს

მე-3 გვ.



„ჭირადად შევარდნაძის დაქვემდებარებაში იმყოფება შეიარაღებული, უნიფორმირებული და საჯარისო წოდებების გამოყენებით ორგანიზებული „კაზაკთა“ არმია (სარდალი — კადნეცი, „თბილისის ატამანი“ — ჯაფარიძე)“

მე-2 გვ.




## საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

## როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!

**გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №1,2,3,4,5,6. 2003წ.**

**ვ. კვარაცხელია.** მე კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს, არც ერთი რეპლიკა ჩემგან ამ დარბაზში არავის არ მოუსმენია. მე ძალიან გთხოვთ დამამთავრებინეთ ჩემი აზრი. მე მგონი, იმდენი დამსახურება მაინცა მაქვს ნებისმიერი თქვენთაგანის წინაშე, რომ 5 წუთი მომისმინოთ. მე ჩემს აზრს მოგახსენებთ. თუ მომისმენთ, მომისმინეთ, თუ არა და მე ჩამოვალ ამ ტრიბუნიდან და ჩემს აზრს მე საქართველოს ვეტყვი, უთქვენოდაც, მოვახერხებ ამას როგორმე. თქვენ ნუ გგონიათ, რომ მარტო რომელიღაც ერთ ნაწილს აქვს ამ საქართველოსთან მისადგომი. აი, მიტინგებით რომ იმუქრებით ხოლმე, იქნებ თქვენზე დიდი მიტინგი მოვაწყოთ, ვიდრე თქვენ ამას მოახერხებთ. ამიტომ მე ძალიან გთხოვთ, მომისმინეთ 5 წუთი, თუ გაქვთ ამის ნერვები. თუ არა და, ჩამოვალ მე ამ ტრიბუნიდან, მე არ გეხვეწებით არაფერს. მაგრამ ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მომისმინეთ, თუ არ გაინტერესებთ — მითხარით და ჩამოვალ. მაგრამ მაშინ გეტყვით, რომ თქვენი აზრიც აღარ გვაინტერესებს-მეთქი და დამთავრდება.

**თავმჯდომარე.** დავუგდოთ ყური. ბრძანეთ.

**ვ. კვარაცხელია.** რატომ უნდა წავიდეს „სნგ“-ს ხელშეკრულებით შებოჭილი სახელმწიფოს მეთაური აშშ-ში? აი, ბატონი იოსელიანმა ერთი კითხვა, მე მგონი, საკმაოდ სერიოზული კითხვა. იქნებ მართლა ხელის შებოჭვაა და იქნებ მართლა ხელის შემშლელი პირობებია. ეს. მე მიმაჩნია, რომ საქართველოში უკანასკნელ წლებში ტარდებოდა დამღუპველი პოლიტიკა. ეს იყო ლოკალური პოლიტიკა, ეს იყო გარეთ არგახედვა, ეს იყო შეუფასებლობა საერთოდ მსოფლიო წესრიგისა, შეუფასებლობა იმისა, რაც ხდება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ვერ დანახვა ამისი და ამის ანალიზის უუნარობა. აი, ამ პოლიტიკამ დაგვღუპა ჩვენ. ჩვენ გვავიწყდებოდა, რომ გარდა ლოკალური პოლიტიკისა, გარდა საქართველოსი, კიდევ არსებობს გარე სამყარო და არსებობს მთელი მსოფლიო და იმ მთელ მსოფლიოს თავისი ინტერესები გააჩნია. სხვათაშორის საქართველოზე ნაკლები არაფრით არ იყო იუგოსლავია, მაგრამ დაიღუპა ის ქვეყანა. აი, რომ არ დაიღუპოს საქართველო, ამისათვის მარტო საქართველო კი არ იბრძვის, ალბათ, ცივილიზებული სამყაროც იბრძვის, ამისათვის რაღაც გზებს სახავს ვილაცა. და ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის გზები, რომელსაც ისინი ხედავენ, ჩვენ უნდა მივიღოთ, მიუხედავად იმისა, მოგვიწევს თუ არა რაიმე გარკვეულ კომპრომისზე წასვლა. არ შეიძლება არსებობდეს საქართველოსნაირი პატარა ქვეყანა და არავისთან არანაირ კომპრომისზე არ მიდიოდეს. წარმოუდგენელია ისეთი პოლიტიკის გატარება. ჩვენ ეს პოლიტიკა ვატარეთ 5 წლის განმავლობაში, შედეგი სახეზეა. ახლა ერთმანეთს ვაბრალოთ, პოზიციამ დაკარგა აფხაზეთი, თუ ხელისუფლებამ, არ გამოვა არაფერი. ამ ბრალდებების... ჩვენმა პოლიტიკამ დაგვღუპა, იმ პოლიტიკამ, რომელსაც... აი ბატონმა ედუარდ შევარდნაძემაც ვერ დააღწია თავი იმ პოლიტიკას. სწორად უსაყვედურა ბატონმა იოსელიანმა მას. თუ რამე არის სასაყვედურო ბატონ ედუარდ შევარდნაძისათვის — ის, რომ მან ვერ დააღწია თავი იმ პოპულიზმს, რომელიც არსებობდა არა მარტო პარლამენტში, არა მარტო პოლიტიკურ წრეებში, არამედ საზოგადოების უდიდეს ნაწილშიც. საზოგადოების გარკვეული ნაწილი დღესაც სიხარულით აღიქვამს პოპულისტურ განცხადებებს. არადა, იღუპება ეს საზოგადოება და არავის არა აქვს უფლება, თავისი სინდისის წინაშე მისცეს ხმა რომელიმე გადაწყვეტილებას. არ მიჭირს მე, არც ბატონი ედუარდ შევარდნაძისაგან ვარ რაიმეთი დავალებული და არც არავისგან ამ ქვეყანაზე, არ მიჭირს მე დღეს გამოვიდე და ვთქვა, რომ არ ვაძლევ ხმას „სნგ“-ს მეთქი. იქნებ 4-5 კაცი დადგეს ჩემს პოზიციაზე, მაგრამ ვერ მივცემ მე ჩემს თავს უფლებას, ეს გავაკეთო. იმიტომ, რომ ვილაცა ტაშისკვრით შემხვდეს ქუჩაში. არ მჭირდება ის ტაში, თუ მეცოდინება, რომ მე ცუდი ნაბიჯი გადავდგი, არასწორი ნაბიჯი გადავდგი, არა და არასწორი ნაბიჯის გადადგმა არის ის, რომ არ ვითვალისწინებთ იმას, თუ რა ხდება დღეს მსოფლიოში. ჩვენ გვგონია, რომ „სნგ“-ში თუ შევალთ ჩვენ ახლა, ეს იქნება შესვლა სადღაც, აი იმ თანამეგობრობაში, რომელიც მერე გზას გაუხსნის საბჭოთა კავშირის რეანიმაციას. არ არის ეს სწორი, მე მიმაჩნია და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ „სნგ“-ში არის ხსნა იმისა, რომ საბჭოთა კავშირის რეანიმაცია არ მოხდეს. აი, ამ აზრსაც უნდა გათვალისწინება, თორემ თქვენ ძალიან კარგად ხედავთ რა ხდება რუსეთში. თუ რუსეთში წავა ის პოლიტიკა და გაიმარჯვებენ რეაქციული ძალები, რომლებიც ძალიან მოწადინებულნი არიან, რომ საბჭოთა კავშირის რეანიმაცია მოხდეს, მაშინ ისინი, „სნგ“-თი არ დაგიწყებენ იქ წაყვანას. ისინი რამდენიმე საათში გადაწყვეტენ ამ პრობლემას და მაშინ მართლა აღდგება საბჭოთა კავშირი. მაგრამ იმედი აქვს მთელ მსოფლიოს, მთელ პროგრესულ საზოგადოებრიობას, რომ ეს ასე არ მოხდება, და ეს არ უნდა მოხდეს ასე. ამიტომ ჩვენ გადავდგათ ერთი ნაბიჯი ამ საზოგადოებისაკენ. როგორ შეიძლება, თუ 12 რესპუბლიკა არის იქ გაერთიანებული, ჩვენ ვიყოთ ცალკე დამოუკიდებლად და გვეგონოს, რომ მართლა, როგორც ბატონმა ედუარდმა ბრძანა ამას წინათ, რომ ყველაზე ჭკვიანები ჩვენა ვართ და ყველაზე გონიერი ხალხი ჩვენა ვართ. არ არის, მეგობრებო, ეს ასე. ასე არ შეიძლება შევხედოთ ამ საკ-

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი



გაგრძელება მე-8 გვ.

# საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც საქართველოში შეიმჩნევა უცნაური ფაქტები, ხელისუფლების მიერ კანონის დარღვევათა ჩათვლით, რომლებიც იმას მეტყველებენ, რომ საქართველოში შევარდნაძის ხელისუფლების მონაწილეობით მზადდება პრორუსული, პროკომუნისტური გადატრიალება. ასეთი ფაქტები (არასრული ჩამონათვალით) შემდეგია:

1. შექმნილია და პირადად შევარდნაძის დაქვემდებარებაში იმყოფება შეიარაღებული, უნიფორმირებული და სამხედრო წოდებების გამოყენებით ორგანიზებული „კაზაკთა“ არმია რამდენიმე ათასი კაცის შემადგენლობით (სარდალი — კადენეცი, „თბილისის ატამანი“ — ჯაფარიძე).

2. წინააღმდეგ კონსტიტუციისა შექმნილია ექსკლუზიურად მუსლიმანური ალმსარებლობის შეიარაღებული ფორმირებები ქვემო ქართლში და პანკისის ხეობაში. პირველის დაქვემდებარების ფორმა ჩვენთვის ცნობილი არ არის, მეორე პირადად შევარდნაძის დაქვემდებარებაში იმყოფება.

3. შექმნილია და დაუსჯელად მოღვაწეობს „დათვების“ პარტია, რომელიც ღიად ავრცელებს მოსახლეობაში ინფორმაციას, რომ რუსეთი მაღალ პენსიას გადაუხდის საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც საკავშირო დაქვემდებარების დაწესებულებებში და საწარმოებში მუშაობდნენ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო რუსეთ-ბელარუსის კავშირში შევა, ანუ ეს პარტია ეწევა კონსტიტუციით აკრძალულ პროპაგანდას საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

4. გამოუძიებლად არის დატოვებული 1992 წლის 3 იანვარს და იმავე წლის 2 თებერვალს მასობრივი მიტინგების დახვრეტის ფაქტი, რაც გვავარაუდებინებს, რომ დამნაშავენი, რომელნიც, ცხადია, 1991-92 წლების გადატრიალების მთავარი ორგანიზატორის — რუსეთის დავალებით მოქმედებდნენ, დღესაც მზადდებიან მის დავალებათა შესასრულებლად.

5. დაუბრკოლებლად (სახელდობრ, მათი დაფინანსების წყაროთა გამოუძიებლად) მოქმედებენ პრორუსული პარტიები, კომუნისტურთა ჩათვლით.

საქართველოს ეროვნული მიმართულების და, მაშასადამე, დემოკრატიული მიმართულების პარტიებს არაერთხელ განუცხადებიათ უკანასკნელი წლების მანძილზე, რომ შევარდნაძისა და მისი კლიკის დესტრუქციული პოლიტიკა საქართველოს ეკონომიკის სფეროში, ჯანდაცვის სფეროში და სამართალდაცვის სფეროში მიზნად ისახავს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის და, ზოგადად, ეროვნული და დემოკრატიული ღირებულებების დისკრედიტაციას ფართო მასის თვალში. დღეს, შევარდნაძისა და მისი პოლიტიკური გუნდის უკიდურესი დისკრედიტაციის ფონზე და შუა აზიისაკენ დასავლური დემოკრატიის ინტენსიური მსვლელობის ფონზე პრორუსული ძალების, მათ შორის — შევარდნაძის კლიკის ეს მცდელობა ინტენსიფიცირებულია.

ვაფრთხილებთ საქართველოს მოქალაქეებს: იყავით ფრთხილად!

— არ დაიჯეროთ, რომ საქართველო ჩიხშია, რომ იგი „არშემდგარი სახელმწიფოა“ ან ასეთ სახელმწიფოდ იქცევა. ჩიხშია მხოლოდ შევარდნაძის გუნდი, რომელიც საქართველოს ძარცვავს და მიზანმიმართულად ანგრევს.

— არ დაიჯეროთ, რომ შევარდნაძის მიერ ორგანიზებულ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს ძალა აქვთ, და არ შეასრულოთ მათი ბრძანება ან მოთხოვნა არანაირ სიტუაციაში.

— გახსოვდეთ, რომ ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების ძირითადი იარაღია ქაოსი. ამიტომ შეძლებისდაგვარად მზად იყავით საკუთარი ძალებით წესრიგის დასაცავად იქ (იმ უბანში, სოფელში), სადაც იმყოფებით და სადაც თქვენი ოჯახი ცხოვრობს.

7.IV.2003 წ.

# ერაყის ომი — ფილოსოფიური თვალსაზრისით

როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, „საქართველოს“ წინა ნომრებში, ბრიტანული „THE ECONOMIST“ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დინჯი და ღრმა პოლიტიკური ჟურნალია, რომელიც, სხვათა შორის, თავისი ქვეყნის უფრო ძლიერ მეგობრებს არც თუ იშვიათად შეახსენებს ხოლმე მორალურსა და ზოგადპოლიტიკურ ფუძე-პრინციპებს, თუკი შეატყო, რომ მათი უგულებელყოფის საშიშროება არსებობს. ბუნებრივია, რომ ერაყის ომთან დაკავშირებულ ყველაზე ზოგადსა და არსებით „გათვლას“ — სადღეისოსაც და სამომავლოსაც — სწორედ ამ ჟურნალში ვხედავთ. აი, მისი ძირითადი ხაზები.

ძალთა შეფარდება იმგვარია, რომ კოალიციის გამარჯვება ეჭვს არ იწვევს. ანუ: ერაყს დაიკავებენ, მის არმიას გაანადგურებენ, მასობრივი მკვლელობის იარაღს მოსპობენ და სადამ ჰუსეინის რეჟიმს დაამხობენ. მაგრამ გამარჯვება იქნება ეს თუ მხოლოდ „გამარჯვება“? ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ იმოქმედებენ კოალიციის წევრები ომის დროს და ომის შემდეგ.

ჯერ ერთი, მსხვერპლი უნდა იყოს მინიმალური: არც ჰუსეინს უნდა აცალონ აკრძალული იარაღის ხმარება, არც თვითონ უნდა მოიქცნენ დაუდევრად მოსახლეობის მიმართ. „ეს ყველა ომის მორალური მოთხოვნაა, მაგრამ ამ ომში ეს პოლიტიკური იმპერატივიცაა. ეს ომი, ბოლოსდაბოლოს, არჩევანისმიერი ომია და არა თავდაცვისა“ და მისი ლოზუნგი, ნაწილობრივ მაინც, არის ერაყელი ხალხის „განთავისუფლება“ დიქტატურისაგან. განთავისუფლებულთა მადლიერება დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად ცოტანი ემსხვერპლებიან მას მოქალაქეები და სამხედროები. ამერიკის „ზესახელმწიფოობას“ ხშირად იმით ზომავენ, თუ რამდენად შეუძლია მას გაანადგუროს მოწინააღმდეგე თავისი საცეცხლე ძალით, მაგრამ ამჯერად მისი ტექნოლოგიის ამოცანაა არა ერთიანი მოსპობა ყველაფრისა, არამედ სამიზნეთა ზუსტი შერჩევა და „სუფთად“ მოქმედება. თუმცა უსისხლო გამარჯვება შეუძლებელია, ამჯერად ჯობს, რომ, რაგინდ საძულველიც იყოს ერაყის რეჟიმი, ომი ნაკლებ ჰგავდეს ერთა შეტაკებას და მეტად — გარე დახმარებით მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებას.

მეორეც, ამერიკელებმა ან უნდა დაუშვან ომში გარეშე ძალების ჩაბმა, თუმცა ისტორია სავსეა მაგალითებით, როცა ჯარისკაცი ერთგულად იცავს საზიზღარ ლიდერს, არავინ იცის, როგორი იქნება ერაყელი ჯარისკაცების განწყობილება ამჟამად. ამერიკელები ფხიზლად უნდა იყონ იმისთვისაც, რომ, თუ ჰუსეინმა ისრაელს რაკეტა ესროლა, ისრაელმა მასირებული საპასუხო დარტყმით არ უპასუხოს და იმისთვისაც, რომ ქურთულ ჩრდილოეთში თურქების ჩარევა არ მოხდება (მოვლენებმა უკვე დაგვანახეს, რომ ამ უკანასკნელი პუნქტისათვის ამერიკელების ზრუნვა დიდია. თურქეთის ჩარევა ქურთისტანში დღემდე არ მომხდარა).

მესამეც, უნდა უშეცდომოდ განისაზღვროს, რა შეიძლება მოხდეს ომის შემდეგ და დაიგეგმოს, როგორ შეეშალოს ხელი მოვლენათა არასასურველ განვითარებას. შიში, რომ ერაყელთა განადგურება მასობრივად აამოძრავებს არაბებს ბინ ლადენის დროშის ქვეშ დასადგომად, არ მართლდება და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ტერორისტთა რიგებში ჩადგომა უფრო რთული ფსიქოლოგიური პროცესით ხდება. მაგრამ მაინც შესაძლებელია, რომ ბაღდადის აღებამ — რასაც არ უნდა ფიქრობდნენ ამ თემაზე თვით ბაღდადელები — არაბთა თაობების ცნობიერებას დააჩნიოს ძლიერი კვალი, როგორც ისრაელის მიერ არაბული არმიების განადგურებამ დააჩნია 1948 და 1967 წელს. „გამარჯვება ჰუსეინთან ომში არ უნდა იქცეს დამარცხებად ტერორიზმის წინააღმდეგ ომში“. ერაყის პირველ ომში გამარჯვების შემდეგ ბუშმა-უფროსმა ამ მიზნისთვის გამოიყენა ისრაელის დათანხმება პალესტინელებთან მოლაპარაკებაზე დასაჯდომად მადრიდში. მაგრამ, ჯერ ერთი, პალესტინის ვითარებას ცოტა კავშირი აქვს ერაყისასთან. მეორეც, თუმცა ბუში ცდილობს ისრაელს უბიძგოს იორდანეს დასავლეთი სანაპიროს და ღაზის ზოლის დეოკუპაციისკენ, ეს ძნელად თუ მოხერხდება, რადგან ძნელია არაბებმა „ინტაფადაზე“ (ისრაელთან ბრძოლაზე) ხელი აიღონ, და ასევე ძნელია, ებრაელებმა მათი კამიკაძეებისგან დასაცავად ებრაული დასახლებების ტერიტორიათა გადაკეტვაზე უარი თქვან.

მეოთხეც, ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განახორციელებენ ამერიკელები თავის ოკუპაციას ერაყში. ერაყი 24-მილიონიანი ქვეყანაა, და არა პატარა პალესტინა, და თუმცა ამერიკელები აცხადებენ, ერაყის ნავთობი ერაყელი ხალხისათვის იმუშავებს და აქაც ავლანეთივით წარმომადგენლობითი ხელისუფლება იქნებაო, „ოკუპაცია მაინც ოკუპაციაა“. განსაკუთრებით მძიმე პრობლემა იქნება ამერიკელებისათვის „ერაყის მთლიანობის შენარჩუნება (ანუ ქურთისტანის ერაყში დატოვება) და თავისუფლების დამყარება“ (რადგან ქურთების ეროვნული უფლებების დაცვა თავისუფლების ერთ-ერთი ელემენტია). „ბუში პირობას დებს, რომ ერაყის მთლიანობას დაიცავს. ეს ძალიან კარგად ჟღერს. მართლაც, ვინ არიან დასავლეთის სახელმწიფოები, რომ თავის გემოზე ჭრან დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოები? მაგრამ კითხვა დგება, აქვს თუ არა ერაყის ხალხს ერთი და იგივე იდენტობა (ვინაობა) (ანუ: არიან თუ არა ერაყელები ერთი ხალხი?) რედ.).

ერაყის მოსახლე ხუთ ელემენტთაგან ერთი არიან ქურთები, რომლებიც დამოუკიდებლობაზე ოცნებობენ. მაგრამ ქურთული ნაციონალიზმისა ძალიან ეშინიათ მეზობლებს (თურქეთი, ირანი, სირია), რომელთაც საკუთარი ქურთული რაიონები აქვთ, და ამიტომ მზად არიან სასტიკად შეებრძოლონ ქურთულ ინტერესს ერაყშიც. ამის გამო ქურთები თვლიან, რომ ამ ეტაპზე ავტონომიაც ეყოფათ ფედერალიზირებულ ერაყში. „მაგრამ რას იტყვიან ისინი ხვალ, როცა ამერიკა — თვითგამორკვევის ეს განთქმული ქომაგი — სპექტაკლის წარმმართველი რეჟისორი იქნება?“. ერაყის პირველი ომის შემდეგ ქურთებს ფაქტობრივად ავტონომიაც აქვთ და დემოკრატიის რაღაცა ზომაც, რასაც ჰუსეინი ვერ ართმევს ამერიკული და ბრიტანული თვითმფრინავების მიერ სისტემატური პატრულირების წყ-

გაგრძელება მე-4 გვ.

# რას მოელიან მოკავშირეები ბაღდადში

სათაურით „ტექნოლოგიის საზღვრები" ჟ. „THE ECONOMIST" აქვეყნებს ანალიტიკურ წერილს იმის შესახებ, თუ რა სახის ბრძოლაა მოსალოდნელი ბაღდადში და რა არჩევანთა წინაშე დგას მათი სარდლობა ამ ოპერაციის დაგეგმვის პროცესში. მოკავშირეთა სახმელეთო ძალების წინსვლა ბაღდადისაკენ სწრაფი იყო: შემდეგ იგი შეჩერდა ბაღდადიდან 80 კმ-ის მანძილზე. მაგრამ ეს სწრაფი წინსვლა მოხდა იმის ფასად, რომ მათ ზურგში მოიტოვეს „წინააღმდეგობის ჯიბეები", ანუ ერაყელთა მნიშვნელოვანი შენაერთები ამა თუ იმ რაიონში. მათი საბრძოლო მომარაგების გზები გაჭიმულია და ამიტომ ზოგან მოწყვლადიც. დღეს დაკავებულ პოზიციაზე უსასრულოდ შეჩერებას არ აპირებენ. ამიტომ გადაწყვეტილება, თუ როგორ უნდა იგდონ ხელთ ბაღდადი, მათ მოკლე ხანში უნდა მიიღონ.

ხუთმილიონიან ქალაქს ამერიკელი ქვეითები, საზღვაო ქვეითები და ავიამედესანტეები სამხრეთიდან უტევენ. ჩრდილოეთიდან ვერ უტევენ, ვინაიდან თურქეთმა სახმელეთო გზა არ მისცა, მაგრამ რაკი ბოლოს თურქეთმა საჰაერო სივრცე გაუხსნა, ამერიკელებმა ჩრდილო ერაყში, ანუ ქურთული დასახლების ზონაში ათასი პარაშუტისტი ჩასხეს და ახალს სხამენ. სამხრეთიდან ბაღდადს ეფარება ერაყის რესპუბლიკური გვარდიის სამი დივიზია (სულ 6 ჰყავს). ამერიკული ავიაცია მათ ბომბავს, რის გამოც იძულებულნი ხდებიან ქალაქს შეეფარონ, რითაც



აი, რას ერიდებიან მოკავშირენი ერაყში. დაბომბილი დრეზდენი. 1945 წელი.

ქუჩის მოსალოდნელი ბრძოლები კიდევ უფრო მძიმდება. მათ გარდა ქალაქში დგანან საგანგებო რესპუბლიკური გვარდიის დივიზიები, უშიშროების სხვადასხვა ძალები და პარამილიტარული („ბოევიკური") ძალები. მათ მხარესაა ის უპირატესობა, რომელიც თავდამცველს მუდამ აქვს შემტევის წინაშე: მან იცის ბრძოლის ველი. ქუჩის ბრძოლების შემთხვევაში ერაყელები ჩასაფრდებიან ბაზრებში, ჯურღმულებში და კანალიზაციაში, რითაც ამერიკელთა ტექნოლოგიური უპირატესობა დიდწილად ნეიტრალიზებული აღმოჩნდება: თუ გაშლილ ველზე ამერიკელები მოწინააღმდეგეს უფრო შორს ხედავენ, უფრო შორს ესვრიან და უფრო ზუსტად უმიზნებენ, ქალაქში ეს ასე არაა. ქალაქის თავზე შვეულმფრენთა დაკიდებაც სარისკოა, ამავე მიზეზით. ასე რომ ქალაქში ბრძოლას ათასობით მსხვერპლი მოჰყვება ჯარისკაცებშიც და მოსახლეობაშიც.

ქალაქის დიდი ნგრევა გარდუვალი არ არის, რადგან საქმემ გვიჩვენა, რომ ამერიკელთა დარტყმები ძალიან ზუსტია. მაგრამ თუ ამერიკელები ქალაქის გარშემო გაიშლებიან, ეს მოითხოვს სწრაფ გადაწყვეტილებებს ინდივიდთა მხრიდან და, მაშასადამე, გამოიწვევს მრავალ შეცდომას იმაში, თუ ვის ესროლონ, დიდხანს ფიქრს, ცხადია, არავინ აცლის.

ჟურნალი ფიქრობს, რომ თეორიულად შესაძლებელია ბაღდადზე შეტევა ორი მეთოდით: ან მისი „მიწასთან გასწორებით" ჰაერიდან და საარტილერიო ცეცხლით ან თითო სახლის აღებით, როგორც ეს სტალინგრადში ხდებოდა. მაგრამ შესაძლებელია მოკავშირეებმა აირჩიონ სხვა ტაქტიკა, სახელდობრ, მოწინააღმდეგის ძირითადი საყრდენების განადგურება ან აღება „ქირურგიული ოპერაციის" სიზუსტით. ჰუსეინის რამდენიმე ასეთი საყრდენი ბაღდადში უკვე განადგურდა. ასეთი „ქირურგიული" ოპერაციის მაგალითები ამერიკელთა ომების ისტორიაში, ჟურნალის სიტყვით, უკვე გვაქვს (მაგალითად, პანამის ოპერაცია 1989 წლისა), მაგრამ საპირისპირო მაგალითები მეტია.

ჟურნალის აზრით, ბასრასთან გამოყენებული ტაქტიკა იმას მოწმობს, რომ მოკავშირეებს არ ჰსურთ მოვლენათა დაჩქარება დიდი მსხვერპლის ფასად. ბასრაში 2 მილიონი სულია, ძირითადად — შიიტები, ანუ სადამის მოპირისპირეები, და დიდი რაოდენობით მილიცია (მოხალისეები). ჟურნალი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ინგლისელებმა, რომლებსაც ბელფასტში მოქმედების დიდი გამოცდილება აქვთ (ბასრასთან ისინი დგანან). ქალაქში მცირე ძალებით რეიდების ტაქტიკა აირჩიონ. ბაღდადისთვის ბრძოლაში, ჟურნალის აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნება მოსახლეობის პოზიციას: იგი ან სადამის წინააღმდეგ იმოქმედებს, ან შინ იჯდება, ან, დაბომბვით გამწარებული, მთელი ძალით ჩაებმება მოკავშირეთა წინააღმდეგ ბრძოლაში.




# რისა ეშინიათ ერაყის მეზობლებს

ამ თემას ჟურნალი უძღვნის ანალიზს სათაურით „უსიამოვნებები კარზე მიადგათ". ნომერი დასტამბულია 29 მარტს, მაგრამ მას შემდეგ არაფერი მომხდარა და დიდი ალბათობაა, რომ კიდევ დიდხანს არ მოხდება. იყო პროგნოზი, რომ ერაყის მეზობელ ქვეყნებს მიაწყდება ლტოლვილთა ნაკადი, რომ მოხდება ერაყის დარტყმა მეზობლებზე (ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ერაყური რაკეტა გაფრინდა კუვეიტისკენ და ისიც გზაში მოსპეს), რომ მოხდება „ომი ომის შიგნით" ანუ მძაფრი შეტაკებები ქურთებსა და მათი განსახლების ქვეყანათა მთავრობებს შორის (ესენია ირანი, თურქეთი, სირია და თვით ერაყი). ეს შიშები დღემდე არ გამართლებულა, თუმცა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციებიც ძლიერ აწუხებს მეზობელ ავტორიტარულ მუსლიმან მმართველებს, რომელთა უმრავლესობა ამერიკელებს ემხრობა.

აშშ თავდაცვის მდივანმა (მინისტრმა) გააფრთხილა სირია, რომ მის მიერ ერაყისათვის სამხედრო ტვირთების მიწოდებას მისი ქვეყანა მტრულ აქტად თვლის (ამ ტვირთებშია იარაღიც და ღამის ხედვის ხელსაწყოებიც). მანვე ირანს პასუხისმგებლობა დააკისრა ირანიდან ერაყში ასობით შეიარაღებული შიიტი მებრძოლის შეშვებისათვის, თუმცა ირანელები ამ ფაქტს უარყოფენ. (ერაყის მოსახლეობაში შიიტები ნახევარზე მეტია). თუმცა რეგიონის მუსლიმანი მთავრობები ძალიან ერიდებიან ამერიკელთა ზედმეტ კრიტიკას (არამედ სჯერდებიან სურვილის გამოთქმას, რომ ომი შეწყდეს). მასმედია ინტენსიურად მიჰყვება ამ თემას და ხალხში მძლავრ აღშფოთებას ტუმბავს ამერიკელების მიმართაც და საკუთარი მთავრობების მიმართაც, რომლებიც ომს მშვიდად უყურებენ შორიდან. თუ ეგვიპტის პოლიცია მკაცრ რეპრესიას მიჰმართავს დემონსტრანტების წინააღმდეგ, ირანის ხელისუფალნი, პირიქით, ჩაყოლას ამჯობინებენ და აფიშირებას უკეთებენ თავის „აქტიურ ნეიტრალიტეტს" „დიდ სატანას — ამერიკასა" და სადამ ჰუსეინს შორის, რომელმაც 1980-1988 წლების ომში ერაყელები დიდი სისხლი დაღვარა. 28 მარტს თვით ხელისუფლებამ მოუწოდა ხალხს დიდ საპროტესტო მიტინგზე და თვითვე გააფრთხილა ამ მიტინგზე ამერიკელები, რომ თავისი ქმედებით გაალვივებენ ექსტრემიზმს და მსოფლიოში სიძულვილის ქარიშხალს მოიმკიან.

აი, ძირითადი შიშები, რომლებიც დღესდღეობით მეზობელ ქვეყნებს ომთან დაკავშირებით აქვთ:

პირველი. ვინ იქნება შემდეგი, ანუ რომელ რეჟიმს ამოიღებენ მიზანში ამერიკელები სადამის დამხობის შემდეგ. ირანი უკვე შეტანილია „ბოროტების ღერძის" ქვეყანათა ამერიკულ სიაში. სირია და საუდის არაბეთი, რომელნიც წინა ომში ამერიკელებს მიემხრნენ ახლა შიშში არიან, რადგან ამერიკელებს ეჭვი აქვთ, რომ ისინი ტერორისტებს ეხმარებიან.

მეორე. თუ ერაყი დემოკრატიული გახდება, ეს წაახალისებს მეზობელი ავტოკრატიული ქვეყნების ხალხს საკუთარი ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ირანი ალყაში ექცევა უკვე გადემოკრატებულ ავღანეთს, თურქეთსა და გასადემოკრატებელ ერაყს შორის. იგივე ელის სირიასაც. და თუ ერაყი გადემოკრატდა, შესაძლებელია, რომ ქუჩის მუხტი მეზობელ ქვეყნებში საკუთარი კორუფციის, რეპრესიული რეჟიმის და მისი საყოველთაო არაკომპეტენტურობის წინააღმდეგ წარმართოს.

მესამე. იმის წყალობით, რომ ამ ქვეყნებში ხალხი მთავრობებს ამერიკელების „ლაქიებად" თვლის, შესაძლოა კატასტროფულად გაძლიერდეს ისლამური ფუნდამენტალიზმი. გააქტიურებულია ამ მიმართულებით პრესაც და სამღვდელოებაც. ისეთი პროამერიკელი მმართველიც კი, როგორიცაა იორდანიის მეფე აბდულაჰი, ეუბნება თავის ხალხს, რომ პროტესტს უცხადებს ომს, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულ დახმარებას დიდი რაოდენობით იღებს.

მეოთხე. ომის შედეგად გააქტიურდებიან უმცირესობები არაერთმარ ქვეყნებში: ქურთების ეროვნული უმცირესობები ირანში, თურქეთში და სირიაში და შიიტური რელიგიური უმცირესობები ბაჰრეინში, საუდის არაბეთსა და კუვეიტში.

მეხუთე. კონფლიქტი იწვევს ეკონომიკურ ზარალს: ეგვიპტეს უზარალდება ტურიზმი, სირიას აკლდება იაფი ნავთობი, ნავთობპროდუქტები და მათი კონტრაბანდის შემოსავალი. იზრაელი ზარალობს ტურიზმის შეკვეცისაგან და პალესტინაში ვაჭრობის შეკვეცისაგან. ამერიკული ფინანსური დახმარების საჭიროება ძლიერი პოლიტიკური ბერკეტია ამ ქვეყნების მთავრობებზე ამ ქვეყნის ზემოქმედებისათვის. ბუშის მიერ კონგრესისთვის 25 მარტს გაგზავნილი წერილი ომის ბიუჯეტის თაობაზე გულისხმობს თითო მილიარდ დოლარს იზრაელისთვის, იორდანიისთვის და თურქეთისათვის, 300 მილიონი ეგვიპტისთვის და მომცრო თანხები ომანისა და ჯიბუტისათვის.

მეექვსე. შესაძლებელია სადამ ჰუსეინის დარტყმა ზოგ მეზობელზე, პირველ ყოვლისა — იზრაელზე, თვით ქიმიური იარაღითაც კი.



მემშვიდობეები ქაბულის ბაზარში

მეშვიდე. არ მოხსნილა ლტოლვილთა ნაკადის გაჩენის საშიშროება. ირანი, მართალია, საზღვრებს კეტავს, მაგრამ 1 მილიონ ორასი ათასი ლტოლვილის მიწყდომას ელის. ბევრს ელის თურქეთიც.

რეგიონის ქვეყნების ყველაზე ტიპიური რეაგირება ერაყის ომზე არის „ფუჭი რიტორიკა" ომის წინააღმდეგ, მაგრამ არა „ზედმეტად მწვავე", რომ ამერიკელებს არ აწყენინონ. ერაყის ვიცე-პრეზიდენტი რამადანი მეზობლებს სამ კატეგორიად ყოფს: ერთნი ღიად ემხრობიან ამერიკელებს, მეორენი ფარულად ემხრობიან, მესამენი პოზიციას არ გამოთქვამენ და ამავე დროს უშვებენ პოლიციას პროტესტების დასათრგუნად. „მათში ცოტანი თუ არიან სადამის შემატკივარნი. მაგრამ ასევე ცოტანი არიან ბუშივით დარწმუნებულნი, რომ სადამის მოცილებას სიხარულით შეჰხვდება მთელი რეგიონი".

# „ანტიამერიკანიზმი" ინგლისში?

THE ECONOMIST გვეუბნება, რომ ბრიტანეთში ადვილად დაინახავთ თითქმისდა ფანატიკურ, ფიზიოლოგიურ ანტიამერიკანიზმს, რომელსაც ოკეანისგაღმელი მეგობრები წარმოუდგებიან „უხეშ, არაკომპეტენტურ, გაუთლელ იანკებად", რომლებიც „აწუხებენ მსოფლიოს თავისი აურჩეველი მმართველი გუნდისაგან წაქეზებულნი", „ნავთობბარონებისაგან, სიონისტებისაგან, აბეზარი ნეოკონსერვატორებისგან და ზედმეტად გულმოდგინე ქრისტიანებისგან" რომ შედგება. ამ შთაბეჭდილებაში, ჟურნალის სიტყვით, სიმართლის რაღაცა ნამცეცი მართლაც არის. მშვიდობისთვის ყველაზე საშიშ კაცად სადამ ჰუსეინი გამოკითხულთა მხოლოდ 25%-ს მიაჩნია, ბუში კი 32%-ს. სამი მეოთხედი მხარს უჭერს ერაყზე დარტყმას გაეროს დასტურით, მეოთხედზე ნაკლები — დარტყმას მისი დასტურის გარეშეც. მაგრამ ნამდვილი სურათი უფრო რთულია. ამერიკელებისადმი „სითბო" არ კლებულობს, არამედ იზრდება. ფორმულირებას „მიყვარს ამერიკელები, როგორც ხალხი" თუ 1991 წელს გამოკითხულთა 61% უჭერდა მხარს, ახლა 81% უჭერს, ხოლო იმათი რიცხვი, ვინც ფიქრობდა „ამერიკელებისგან შეგვიძლია ბევრი რამ ვისწავლოთო", 39%-დან 50%-ზე ავიდა. ნეგატივიზმი, არსებითად მიმართულია მხოლოდ ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკაზე არაბულ-ებრაული კონფლიქტის საკითხში და „მსოფლიო დათბობის" ეკოლოგიურ საკითხში. დაახლოებით იგივე განწყობილებაა თვით ამერიკაში. თუ შკალით, სადაც „1" ნიშნავს „ცუდს" და „4" — „ფრიადს", ინგლისელები ამერიკულ ადმინისტრაციას „1,8"-ს უწერენ, ამერიკელები — „2"-ს. ამერიკული ტიპის კონსერვატიზმს რეიგანის დროს და კლინტონის დროსაც თანაუგრძნობდნენ გონებრივი ელიტებიც და მთავრობის მომხრე პარტიებიც როგორც ინგლისში, ისე ამერიკაში. დღეს ბრიტანეთის ხელისუფალნი ასე თუ ისე ახერხებენ თავისი მრევლის თვალში ამერიკელთა საგარეო პოლიტიკის ლამაზად წარმოჩენას, მაგრამ ეს არ ძალუძთ მათი საჯანდაცვო ან ეკოლოგიური პოლიტიკის მიმართ. ამერიკა უფრო უყვართ ღარიბსა და ნაკლებგანათლებულ ინგლისელებს, ვიდრე მდიდრებსა და განათლებულებს, ბებრებს და ძალიან ახალგაზრდებს უფრო, ვიდრე შუა ასაკებისას. შესაძლოა, „ანტიამერიკანიზმი" ზოგ შემთხვევაში „სნობური" (ვითომ-არისტოკრატიული) პოზიცია იყოს.

მიუხედავად ამ ნიუანსებისა, მაინც ფაქტია, რომ პრო-ამერიკანიზმი შესუსტდა. მიზეზები ბევრია, თვით ისეთი მცირეც კი, როგორიცაა აშშ დღევანდელი ელჩის კარჩაკეტილი ხასიათი, მაგრამ მთავარი მიზეზი ერთია: რაკი აღარაა „ცივი ომი", აღარაა არც სსრკ-სგან ევროპის დაცვის ერთობლივი ამერიკულ-ინგლისური ამოცანაც.

პირად ურთიერთობებშიც და ორიენტაციებშიც ამერიკას, ინგლისელთა თვალში ბევრ შემთხვევაში ევროკავშირი ენაცვლება. მაგრამ ეს ტენდენციაც მერყევია. მაგალითად, საშუალო კლასის გონიერი მშობლები მაინც არჩევენ ხოლმე შვილებს ამერიკულ უნივერსიტეტებში აწნავლონ, რაც ცოტა უფრო ძვირი უჯდებათ, ვიდრე ევროპულებში სწავლება დაუჯდებოდათ.




# ქურთების საკითხი ერთ-ერთი ცენტრალურია

სათაურით „ქურთული გამოცოცხლების შიში“ THE ECONOMIST აქვეყნებს ანალიტიკურ წერილს ქურთული ეროვნული მოძრაობის პერსპექტივების შესახებ ერაყის ომთან დაკავშირებით. ქურთები დაახლოებით 25 მილიონი სული არიან. მათი ფრიად კომპაქტური საცხოვრისი გაყოფილია თურქეთსა (12 მილიონი სული), ირანსა (6 მილიონი სული), ერაყსა (4 მილიონი სული) და სირიას შორის. ისინი მსოფლიოს ყველაზე დიდი უსახელმწიფოო ერი არიან. თურქეთის ქურთული ტერიტორიიდან (ცენტრი — დიარბექირი) დიდი რაოდენობის მოსახლეობა ბოლო წლებში გადაასახლეს თურქეთის დასავლეთ რაიონებში, სადაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, ჟურნალის სიტყვით, ასიმილირებულია და არაქურთთან დაქორწინებულია. დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის იდეა არსებობს და მოქმედების სტიმულს წარმოადგენს.

1991 წლის ომის შემდეგ ჩრდ. ერაყის ქურთული ნაწილი ფაქტობრივად ავტონომიურია და ამერიკულ-ბრიტანული ავიაციის პატრულირებით დაცული. სადამ ჰუსეინის შემდეგდროინდელ ერაყში ამ ავტონომიას დაკანონების და მომავალ ფედერალურ კონსტიტუციაში ჩაწერის შანსი უჩნდება. ამისა ძალიან ეშინიათ დანარჩენ ქვეყნებს, რომელთაც ქურთული მოსახლეობა ჰყავთ. მათ შორის, თურქეთი მუდმივად გამზადებულია ჩრდ. ერაყში რეგულარული ჯარის შეყვანაზე, რათა ქურთებს ამ ზრახვის განხორციელების საშუალება არ მისცეს. ქურთებისთვის მნიშვნელოვანია დაიკავონ ნავთობიანი ზონები ქ. მოსულისა და ქ. კირკუკისა (ამ უკანასკნელში მოსახლეობა ძირითადად ქურთული იყო, სანამ სადამ ჰუსეინმა ამ ტერიტორიის „არაბიზაცია“ არ მოახდინა და ქურთული მოსახლეობა არ გაასახლა). ერაყის ქურთები პოლიტიკურად დაჯგუფებულნი არიან ორი ხელმძღვანელობის გარშემო (ამათში ერთი პროირანულია) და მნიშვნელოვანი გაწვრთნილი და ორგანიზებული შეიარაღებული ძალა ჰყავთ, რომელიც აპირებს თურქებს დამარცხება აგემოს, თუკი მათ ტერიტორიაზე შევლენ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გამარჯვებულმა ინგლისმა და საფრანგეთმა სევრის ხელშეკრულებაში შეიტანეს ქურთისტანის შექმნა (1920), მაგრამ რამდენიმე წელიწადში ეს პირობა გადაისინჯა და ქურთისტანის თემა დავიწყებას მიეცა. ქურთები რამდენჯერმე აუჯანყდნენ თურქებს და ულმობელად ჩახშობილ იქნენ. 1984 წლიდან დაიწყო ქურთული სეპარატისტული კამპანია „ქურთული მუშათა პარტიის“ ხელმძღვანელობით, რაც თურქეთმა დიდი გაჭირვებით შეაჩერა და ქურთების დიდი მასები დასავლეთში გადაასახლა. 1999 წელს პარტიის და მოძრაობის ლიდერი ოჯალანი შეიპყრეს კენიაში. სიტყვა „ქურთი“ აკრძალული იყო, ტარდებოდა ძალადობითი ასიმილაციის პოლიტიკა, რომელიც ფორმალურად შენელდა ევროპელთა გულის მოსანადირებლად, რომელთა ხელშიცაა თურქეთის მიღება ევროკავშირში.

ამერიკელები ქურთულ შეიარაღებულ ძალას თავის მოკავშირედ თვლიდნენ სადამის წინააღმდეგ. მათ განზრახული ჰქონდათ თურქეთის გავლით სადამისთვის ჩრდილოეთი ფრონტი გაეხსნათ, მაგრამ თურქეთმა არ გაატარა. მაშინ ამერიკელებმა 3000 ავიამდესანტე ჩასხეს ქურთების ტერიტორიაზე და ავიაციით ეხმარებიან ქურთების წინსვლას მოსულისა და კირკუკისკენ. თურქების ინტერესია, ამერიკელებმა ქურთებს შეაჩერებინონ ეს წინსვლა, ამერიკელებისა და ქურთებისა — თურქეთს არ შეაყვანინონ ქურთების ტერიტორიაზე დიდი სამხედრო ძალა. უკანასკნელი დღეების ინფორმაციით შეთანხმება მოხდა: თურქეთს ჩრდ. ერაყში ჯარი არ შეჰყავს (ან ვერ შეჰყავს).

ცოტა ხნის წინ ერაყის ქურთებმა საერთო ენა გამონახეს და ერთობლივი მოქმედება დაიწყეს. თუ ეს გაერთიანება რეალური აღმოჩნდება, ეს, ჟურნალის სიტყვით, „ისტორიული მიღწევა“ იქნება.

ირანშიც ქურთების ბედი ანალოგიურია, აქ 1920 წლიდან მათი მრავალი აჯანყების სისხლიანი ჩახშობა მოხდა. იგივე ერაყშიც, სადაც სადამ ჰუსეინმა ირანთან ომის დასასრულისათვის, ჯამში, 180 ათასი ქურთი დახოცა, მათ შორის 5 ათასი — ერთი სოფლის მაცხოვრებელთა რაოდენობა — საბრძოლო მოქმედი საშუალებებით.

ჟურნალი იხსენებს იმ ფაქტს, რომ ყველაზე გამოჩენილი ქურთი ისტორიაში არის სალადინი — მაჰმადიანი მმართველი, რომელიც წარმატებულ წინააღმდეგობას უწევდა ჯვაროსნებს. მისი სიტყვით, „ირონიულია“, რომ სადამი თავისთავს თვლის „თანამედროვე სალადინად“, ანუ იმ ქვეყნების მფლობელად, რომლებიც მოქცეულნი იყვნენ სადამის სამფლობელოში პალესტინიდან ეგვიპტემდე.

ქურთებმა იციან, რა გამეტებითა და უკან მოუხედავად ცდილობს მათი ოთხივე მასპინძელი სახელმწიფო, რომ მათი სამშობლოს, მათი სახელმწიფოს შექმნა არ დაუშვას. ამიტომ მათ არ ჰსურთ, დედაქალაქის მოსახლეობის თვალში გამოჩნდნენ როგორც მტრული ძალა. ამიტომ მოსალოდნელია, ჟურნალის სიტყვით, მათ სადღეისოდ თავის მიზნად დაისახონ მხოლოდ უკვე მოპოვებული ავტონომიის ლეგალიზაცია.

## სტრატეგიული დილემა იყო და იგი ახლაც ძალაშია

დილემა მდგომარეობს არჩევანის საჭიროებაში, რომლის წინაშეც დადგა მოკავშირეთა სარდლობა ერაყში: იერიში მიიტანონ



რადარისთვის შეუმჩნეველი ბომბდამშენი B2

ბაღდადზე (რაც შედრებით მეტ მსხვერპლს მოითხოვს) თუ დაელოდონ დამატებით დაახლოებით 100000 ჯარისკაცის შემოსვლას და ოპერაცია მერე დაიწყონ (შედარებით ნაკლები მსხვერპლით)? რატომ აღმოჩნდა საჭირო დამატებითი კონტინგენტის შემოყვანა, ამის შესახებ აქვე იხილეთ საუბარი THE ECONOMIST-IS პუბლიკაციაში, რომელიც თავდაცვის მინისტრს რამსფელდს ეხება. ჟურნალის მიერ ციტირებული ერთი ცნობით, ამერიკელმა ოფიცრებმა უთხრეს კორესპონდენტებს ბაღდადის გზაზე, რამდენიმე დღე უნდა შევიცადოთ, სხვა ცნობით სარდლობამ უარყო ეს ცნობა. გადავადების შესაძლო მაქსიმალურ ვადად სახელდება 35-40 დღეც. მაგრამ ძირითადი გავრცელებული ცნობა ისაა, რომ გადავადება არ მოხდება.

ჟურნალი აღნიშნავს, რომ ამერიკულ სარდლობას გულზე არ ეხატება ომის დიდხანს გაგრძელების პერსპექტივა. ერაყის თავდაცვის მინისტრი, პირიქით, აცხადებს, მოკავშირეებმა შეიძლება ბაღდადი რამდენსამე დღეში ალყაში მოაქციონ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში თავგანწირული ბრძოლა ქუჩებში რამდენსამე თვეს გაგრძელდებაო. „ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ და ისტორია აღბეჭდავს, ერაყელებს როგორი ბრძოლა შეგვიძლიაო“.

რეზერვების შემოყვანით ამერიკელთა ის ძალა, რომელიც ხმელეთით უტევს, გაორკეცდება (რამდენიმე ათეული ათასი სამხედრო მოსამსახურე, მეზღვარეებისა და ავიატორების ჩათვლით), მაგრამ ეს ძალა დაახლოებით ნახევარი იქნება იმ 500 ათასისა, რომელიც ხმელეთზე იბრძოდა წინა ომში ამერიკელთა მხრიდან.

# ერაყის ომი – ფილოსოფიური თვალსაზრისით

მე-2 გვერდიდან

ალობით, მაგრამ იმისთვის, რომ გამარჯვება „გამარჯვებად“ არ ექცეთ, ამერიკელები იძულებულნი იქნებიან ქურთები რაღაცა ისეთი ფორმით შეიყვანონ ბაღდადის უფლებამოსილებათა არეალში, რომ მათი თავისუფლების შეცირების გრძნობა არ გაუჩინონ“.

მომავალ ერაყს ბევრი სხვა ხიფათებიც ემუქრება, რომელთა მოვლაც ამერიკელებს მძიმე ტვირთად დააწვებათ (დიქტატურაზე შურისძიების სურვილი, მეზობელი დიქტატორული რეჟიმების შიში თავისი ბედის გამო, საუდის არაბეთიდან ვაჰაბიზმის გავრცელება, ირანიდან — შიიზმისა, „ლიბანიზაციის“ ანუ შიდაბრძოლის აქტივის ელემენტები და სხვა. ამაზე იხ. ამავე ნომერში). მაგრამ კითხვას „ხომ არ ჯობდა, ომი არ დაწყებულიყო?“ მაინც გადაჭრით „არა“ უნდა ვუპასუხოთ. ამ პასუხის ლოგიკა ემყარება იმის შედარებას, რა ხდება ამ ომით, და იმისა, რა მოხდებოდა და რა მდგომარეობა იქნებოდა ომის გარეშე. ამ შედარებას რამდენიმე პარამეტრი აქვს.

პირველი. შიშია, ომის გამო ტერორისტები დემოკრატიულ ქვეყნებს შეუტევენო, მაგრამ ფაქტები მეტყველებს, რომ ისინი ამ ქვეყნებს უომრადაც უტევენ.

მეორე. შიშია, ერაყი დაიშლებაო. მაგრამ იგი უომრადაც იშლება. ქურთისტანი ერაყის ორგანული ნაწილი კარგა ხანია, აღარ არის.

მესამე. შიშია, ლტოლვილთა ნაკადი გაჩნდებაო. მაგრამ ერაყიდან უომრადაც ემიგრირებულთა 4 მილიონი ადამიანი.

მეოთხე. შიშია, დესტაბილიზაცია მოხდებაო. მაგრამ მოჩვენებითი სტაბილობა ერაყში მხოლოდ „სასიკვდილო რეჟიმებს“ უჭირავთ, რომელთა შედეგადაც სადამმა 100 ათასი სული მოკლა.

დასასრულ, მეხუთეა აკრძალული იარაღის არსებობა-არარსებობის საკითხი. რაც უნდა აქტუალური იყოს ეს პრობლემა აწ და აქ, ანუ დღეს და სადამ ჰუსეინთან დაკავშირებით, მასობრივი განადგურების იარაღის არგავრცელების ამოცანა მაინც ზოგადია და პრობლემა იმაში მდგომარეობს, არსებობს თუ არა საამისოდ უფრო ადვილი ან უფრო საიმედო გზა, ვიდრე ომია.

***

ბუშისა და ბლეირის კრიტიკოსები ამბობენ, რომ ძალის გამოყენება გაეროს სანქციის გარეშე ჩრდ. კორეას და ერაყს დააჩქარებინებს თავის მცდელობას, საკუთარი იარაღი შექმნან. მაგრამ სინამდვილეში არც ერთი ამ ორთაგანის ბირთვული ან სხვა რამ ანალოგიური ძალისხმევა არ გამოუწვევია წყენას ბუშის მიმართ. ერთი მიზეზი ის იყო, რომ მათ ტექნოლოგიები აღმოაჩნდათ (ნაწილობრივ მაინც), მეორე — ის, რომ გაეროს მხრიდან დაუსჯელობა-გაუბედაობა ნახეს და დღესაც ხედავენ. ომით — რომელიც, რა თქმა უნდა, ცუდი საშუალებაა, თუმცა უკეთესია ყველა ცუდ საშუალებათა შორის — ჯერ ერთი, მოიხსნება უშუალო კონკრეტული ხიფათი ჰუსეინისთანა კაცის ხელში ამ იარალთა ყოფნისა, მეორეც, გამოჩნდება, რომ გაუვრცელებლობის პირობის დარღვევა დამრღვევს ძვირად უჯდება.

პრობლემის მოგვარების საშუალებათა შორის ერთი (მაგრამ მხოლოდ ადგილობრივი, და არა გლობალური) არის ისრაელისა და პალესტინელების მორიგება, რაც ძალიან ძნელია. ისრაელი წლების მანძილზე ჩამორჩებოდა თავის სახიფათო მეზობლებს ჩვეულებრივ შეიარაღებათა რაოდენობათ და მათთან ერთადერთ უპირატესობად თავისი ბირთვული შესაძლებლობები რჩებოდა, მაგრამ მეზობელთა ქიმიურმა შეიარაღებამ ეს უპირატესობა შეუსუსტა, ერაყის რეაქტორის მშენებლობის დაბომბვამ 1981 წელს ერაყის ბირთვული პროგრამა შეანელა, მაგრამ არ მოხსნა. ერაყის ბირთვული გეგმები მიმართული იყო ირანის წინააღმდეგაც და ახლა — ერაყის განიარაღების შემდეგ — ირანს ბირთვული შეიარაღებისთვის ნაკლები სტიმული დარჩება. ასე რომ, დღევანდელი ომი ირანისგან მომდინარე საშიშროებას ორგვარად შეამცირებს.

# „არც ისე მშვიდი ამერიკელი“

ამ სათაურით (რომელიც მიგვანიშნებს გრემ გრინის ცნობილ მოთხრობაზე ვიეტნამის ომის შესახებ) ჟურნალი აქვეყნებს მასალას აშშ თავდაცვის მდივნის (მინისტრის) დონალდ რამსფელდის შესახებ. იგი ერთ დროს ამერიკელთა საზღვაო ფლოტის ჩემპიონი იყო ჭიდაობაში და, როგორც თავდაცვის მდივანს, ორი რეკორდი აქვს: იგი ერთ დროს იყო ყველაზე ახალგაზრდა კაცი ამ თანამდებობაზე, ახლა კი, ამ პოსტის მეორედ დაკავების შემდეგ, ყველაზე ხნიერი კაცია (70 წლის). მისი მიმართულება ისაა, რომ ამერიკის სამხედრო მანქანა კომუნიზმის შეკავების ამოცანიდან გადართოს ტერორიზმთან ბრძოლის ამოცანაზე. ერთი ომი — ავღანეთისა — მის აქტივშია. „ახლა მან ამერიკელი ჯარისკაცები ჩააბა ომში, რომელმაც ისინი შეიძლება წლობით დატოვოს ამ რეგიონში“.

ჟურნალის სიტყვით, რამსფელდი ყოველთვის ასე არ იყო. 11 სექტემბრის ტერაქტამდე იგი „ჩამქრალი ვულკანივით იყო“. ჯერ კიდევ ტერაქტამდე 4 დღით ადრე, გაზ. „ვაშინგტონ პოსტი“ მსჯელობდა იმაზე, თუ ვინ დაიკავებს მის თანამდებობას. მაგრამ ახლა მისი პირდაპირი ლაპარაკი ფოლადისებრი უყოყმანობა სწორედ ის მატონიზირებელი საშუალებაა, რომელსაც ქვეყანა ითხოვს.

ალ-ყაიდას წინააღმდეგ რამსფელდი მოითხოვდა არა ქირურგიულ ოპერაციას, არამედ სრულმასშტაბიან ომს. წლების მანძილზე იგი სულ იმის მითითებაშია, რა საშიშია ჰუსეინისთანა ფეთქებადი რეჟიმები და მასობრივი მოსპობის იარალთა გავრცელება. რამსფელდის პოზიციის დიდი წარმატება ამერიკული პოზიციის ფორმირებაში შესაძლოა იმითაც იყოს გამწვეული, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის უკომპრომისობამ გაამართლა ბუშის ყველაზე დიდი უნდობლობა გაეროს ქმედუნარიანობისადმი. რამსფელდის სპეციფიკური ტალანტები მოიცავს გამორჩეულად მეომარ სულისკვეთებას და მდიდარ გამოცდილებას. მის ბრწყინვალე კარიერაში, ჰენრი



რამსფელდი და ბრიტანეთის თავდაცვის მდივანი ჰუნი

კისინჯერის სიტყვით, შეერთებულია დიდი ამბიციები, უნარი და სიმყარე.“ მგარამ მისი მთავარი იარალია მისი იდეოლოგია. იგი დღევანდელ მმართველ გუნდში სხვა ყველაზე მეტად არის „ჩვენი“ (ე.ი. ამ ადმინისტრაციის, და არა ვისიმე სხვის, ერთგული წევრი), და ამ მხრივ აღემატება კოლინ პაუელს. „იგი კონსერვატიული კლუბის ყველაზე კონსერვატიული წევრია“.

უდავოა, რომ რამსფელდმა შექმნა დიდი ძალა, მაგრამ ჟურნალი კითხვას სვამს, რამდენად შესწევს მას ამ ძალის სწორად მოხმარების უნარი? მისი კრიტიკა ორი მიმართულებით ხდება. მეტ-ნაკლებად მცირედისებრნი მას საყვედურობენ, რომ თავის ნებით უპირისპირდება მოკავშირეებს და საბოტაჟს უწევს დიპლომატიას. მეორე მიმართულება გენერლებისა და პოლიტიკოსებისაგან მოდის და იმაში მდგომარეობს, რომ მან ვერ შეაფასა ჯეროვნად ერაყელთა წინააღმდეგობის ძალა. მას, კრიტიკოსთა აზრით, სჭირს „დიდ ბოსთა“ თითქმის საყოველთაო სინდრომი, რომ მეტისმეტად მაღალი წარმოდგენა ჰქონდეთ საკუთარ შესაძლებლობებზე და მეტისმეტად დაბალი მოწინააღმდეგისაზე.

ავღანეთის ომის დროს იგი ცდილობდა გენერლებისათვის აქცენტი გაეკეთებინებინა ავიაციისა და სპეცრაზმების გამოყენებაზე და, ჟურნალის სიტყვით, ამაში მართალიც იყო, „თუმცა უფრო მეტი ქვეითის გამოყენება ალბათ გააადვილებდა ალ-ყაიდას ლიდერთა დაჭერას“), რაც ამერიკელებმა ავღანეთში ვერ შეძლეს. ერაყის ომისათვის საჭირო ცოცხალი ძალის რაოდენობა — 250 ათასი კაცი — კომპრომისი იყო მასა და გენერლებს შორის: სარდალი გენ. ფრენკსი ითხოვდა „ნაკლებ გაბედულ დარტყმას“ ანუ მეტი ცოცხალი ძალის გამოყენებას (რისთვისაც ახლა ერაყში დამატებით 100 ათასი შეჰყავთ). თუმცა რამსფელდი აღიარებს წესს, რომ „ჯობს საკუთარი შეცდომები დაუშვათ, ვიდრე გაიმეოროთ თქვენი წინამორბედებისა“, იგი, ჟურნალის აზრით, ამ წესს არ ასრულებს და ამით სახიფათოდ მოგვაგონებს ამავე თანამდებობაზე ვიეტნამის ომის დროს მყოფ ცნობილ მაკ-ნამარას, რომელსაც ახასიათებდა „უსაზღვრო ეგოცენტრიზმი“ და ასეთივე მიდრეკილება მაღალტექნოლოგიური ომისადმი.

აშშ-ს სამხედრო ლიდერის ეს დახასიათება ბრიტანულ ჟურნალში არ მეტყველებს პესიმიზმზე ან მის თუნდაც მცირე ელემენტზე მიმდინარე ომის პერსპექტივათა შეფასებაში. მაგრამ სიფრთხილისკენ მოწოდებას იგი ნამდვილად შეიცავს.

# ისევ „ნატოს სტანდარტების“ შესახებ

წინა წერილში — „ნატოს სტანდარტები“ — მითი და სინამდვილე, — ძირითადად სტრატეგიული კვლევების ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებზე დაყრდნობით, ვაჩვენეთ, რომ ნატოს ბლოკში ომიანობის დროის შეიარაღებული ძალების რიცხოვნების რაიმე სტანდარტი არ არსებობს და იქ თითოეული სახელმწიფო მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან და შესაძლო სამხედრო მუქარებიდან გამომდინარე, ალიანსის სამხედრო ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, თავად წყვეტს საკუთარი მოსახლეობის რამდენი პროცენტი გაიწვიოს შეიარაღებულ ძალებში კრიზისულ სიტუაციებში ან მსხვილმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დაწყებისას. სახელდობრ, ნატოს ბლოკის მცირე ევროპული სახელმწიფოებიდან ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დასავლეთ საზღვარს ფედერაციული გერმანიის ტერიტორიით დაშორებული ნიდერლანდების, ბელგიისა და დანიის სარდლობები ომიანობის დროს შეიარაღებულ ძალებში გეგმავდნენ მოსახლეობის 1,7-4,0%-ის მობილიზებას (ამჟამად ეს მაჩვენებელი 0,5-2,8%-ის ფარგლებშია), თურქეთის მეზობლად მყოფი საბერძნეთის სამხედრო ხელმძღვანელობა 5,8%-ის (ამჟამად 4,2%), ხოლო საბჭოთა კავშირის (რუსეთის) უშუალო მეზობელი ნორვეგიის სარდლობა — მოსახლეობის 9,3%-ს (ამჟამად 5,6%).

2000 წლისთვის ნატოს ბლოკის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი უპირატესობის ფონზე მისცეს თავს უფლება ნიდერლანდების, ბელგიისა და დანიის სარდლობებმა, რომ თავიანთი მშვიდობიანობის დროის შემცირებული რეგულარული ჯარების დაკომპლექტება დაეწყოთ კონტრაქტის საფუძველზე მომსახურე მოხალისე-პროფესიონალებით, მაგრამ ე. წ. „ცხელ რაიონში“ მდებარე 4,4-მილიონიანი ნორვეგია კვლავინდებურად ინარჩუნებს რეგულარულ შეიარაღებულ ძალებში 26 700 ადამიანს, რომელთაგან 15 200 (ანუ პირადი შემადგენლობის 55,9%) ვადიან სამსახურშია გაწვეული (სამსახურის ვადა 12 თვეა, პლიუს 4-5 თვე გადამზადება-განახლების წვრთნების პერიოდი).

ამ მაგალითებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „მცირერიცხოვანი და პროფესიული“ შეიარაღებული ძალების მშენებლობა სულაც არ შეესაბამება ნატოს ბლოკის საყოველთაო სტანდარტს და იგი დამახასიათებელია მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ევროპის მცირე სახელმწიფოების, ნიდერლანდების, ბელგიისა და დანიისთვის. მათ საპირისპიროდ საბერძნეთისა და ნორვეგიის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა კვლავინდებურად ინარჩუნებს ისეთ თავდაცვით სისტემას, როდესაც ქვეყანას შეეძლება მშვიდობიანობის დროს სამხედროვალდებული ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი რაოდენობის რეგულარულ ჯარებში გაწვევა, 12-18 თვის განმავლობაში ნამდვილ სამხედრო სამსახურში ყოფნისას მათგან მომზადებული ჯარისკაცებისა და სერჟანტების ჩამოყალიბება და შემდეგ რეზერვში გადაყვანა ისე, რომ კრიზისულ სიტუაციებში ან ომის დროს ერთი კვირის განმავლობაში შეიარაღებულ ძალებში გაიწვიოს მოსახლეობის 5% და მეტი.

თავად აშშ შეიარაღებულ ძალებს, მართალია, 1973 წლიდან აკომპლექტებენ ძირითადად კონტრაქტით მომსახურე მოხალისეებისგან, მაგრამ იქ საყოველთაო სამხედრო ვალდებულება არავის გაუუქმებია. არამედ ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის მექანიზმი აშშ-ში მშვიდობიანობის დროს უბრალოდ დაკონსერვებულია. მაგრამ თუ კი ამერიკა ჩაებმება ისეთი მასშტაბების ომში, როდესაც პროფესიონალ სამხედრო მოსამსახურეთაგან დაკომპლექტებული შედარებით მცირერიცხოვანი 2,55-მილიონიანი შეიარაღებული ძალები (1991 წელს იყო 3,75 მილიონი) ვერ შეძლებს მის წინაშე დასმადი ამოცანების გადაწყვეტას, მაშინ ამოქმედდება სამხედროვალდებული რეზერვისტების შერჩევით ან საყოველთაო გაწვევის მექანიზმები (როგორც ეს იყო პირველ და მეორე მსოფლიო ომებში), ხოლო ამ ქვეყნის სამობილიზაციო რესურსი 30-32 მლნ ადამიანია.

მაგრამ სამხედრო საქმის არმცოდნე რეზერვისტების მომზადებას სჭირდება ქვეყანაში შიგნით მშვიდი მდგომარეობა და სათანადო ვადები, რისთვისაც აშშ-ს პირობებს უქმნის ევროპისა და აზიის კონტინენტებიდან მისი ორი ოკეანით იზოლირებულობა. ასეთი პირობები არ გააჩნიათ ევროპულ სახელმწიფოებს და ამიტომ აქ უპირატესობას ანიჭებენ ჯარების დაკომპლექტების შერეულ მექანიზმს, როდესაც კონტრაქტის საფუძველზე მსახურობენ რთულ ელექტრონულ და ტექნიკურ სისტემებთან მომუშავე სპეციალისტები და უმცროს მეთაურთა (სერჟანტების) შემადგენლობა, რომელთა პროფესიულ დაოსტატებასაც შედარებით მეტი დრო სჭირდება, ხოლო დანარჩენ სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობების პირად შემადგენლობას აკომპლექტებენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში 10-18 თვით გაწვეული ახალგაზრდებით.

სახელდობრ, შეიარაღებული ძალების შერეული პრინციპით დაკომპლექტების მექანიზმის მქონე ნატოს ბლოკის ევროპული სახელმწიფოებიდან, 2000 წლის მონაცემებით, საფრანგეთის მშვიდობიანობის დროის რეგულარული შეიარაღებული ძალები გაწვეულთაგან დაკომპლექტებულია დაახლოებით 20%-ით; ესპანეთის — 31%-ით; გერმანიის, იტალიისა და ჩეხეთის — 40-45%-ით; ნორვეგიის, უნგრეთისა და პოლონეთის — 50-56%-ით; საბერძნეთის — 61 და თურქეთის — 86,6%-ით.

ამრიგად, სტრატეგიული კვლევების ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით ნატოს სამხედრო ბლოკის შეიარაღებული ძალების მშენებლობის „სტანდარტს“ სრულებით არ წარმოადგენს მცირერიცხოვანი და პროფესიული ჯარების ჩამოყალიბება. ასეთი პრაქტიკა დამახასიათებელია მხოლოდ ნიდერლანდების, ბელგიის, დანიის და პორტუგალიისთვის, რომლებიც ევროპის კონტინენტის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ ნაწილში მდებარეობენ და ე. წ. „ცხელი რაიონიდან“ (ახლო აღმოსავლეთის ან რუსეთის) საკმაოდ დიდი ტერიტორიით არიან იზოლირებული.

ეს ყოველივე კარგად უწყიან ჩვენში მომუშავე ნატოელმა მრჩევლებმა, მაგრამ მაინც დაბეჯითებით გვიმეორებენ, რომ თანამედროვე პირობებში, თურმე, საქართველოს თავდაცვის ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია „ნატოს სტანდარტების“ „მცირერიცხოვანი მსუბუქად შეიარაღებული და პროფესიული“ ჯარებით. სწორედ ამაზეა ქართველი კაცის ნათქვამი — ფიცი მწამს და ბოლო კი მაკვირვებსო.

კიდევ უფრო გასაკვირი იქნება ნატოელი სპეციალისტებისა და მრჩევლების უტიფრობა, როდესაც უფრო დაწვრილებით გავეცნობით 90-იან წლებში აშშ და, ნაწილობრივ, გერმანიის დახმარებით თურქეთის შეიარაღებული ძალების გაძლიერების სურათს და შევადარებთ მას ამავე პერიოდში თუნდაც საფრანგეთის და გერმანიის ჯარებში გატარებულ ცვლილებებთან. 1-ლ ცხრილში მოყვანილია შესაბამისი მონაცემები 1991 და 2000 წლების მდგომარეობით. თანაც გერმანიის 1991 წლის შეიარაღებაში ძირითადად ნაჩვენებია მხოლოდ დასავლეთგერმანული ნიმუშების რაოდენობა.

აღნიშნული ცხრილიდან ნათლად ჩანს საფრანგეთსა და გერმანიაში ჩვეულებრივი შეტევითი შეიარაღების შემცირების ტენდენცია. თანაც, მაგალითად, გერმანიის სახმელეთო ძალებში შეამცირეს არა მხოლოდ შედარებით მოძველებული „ლეოპარდ-1“ სერიის საბრძოლო ტანკების რაოდენობა (2054-დან 1033 ერთეულამდე), ისე თანამედროვე „ლეოპარდ-2“-ებისაც (2024-დან 1782 ერთეულამდე).

თურქეთის შეიარაღებულ ძალებში, აშშ და გერმანიის სამხედრო-ტექნიკური დახმარების წყალობით, 1990-იან წლებში არა მხოლოდ რაოდენობრივად გაზარდეს სახმელეთო ჯარების ჯავშანსატანკო ტექნიკა და საველე არტილერია, არამედ მოახდინეს მათი სერიოზული განახლებაც. სახელდობრ, შეიარაღებიდან მოხსნილი 523 გვარიანად მოძველებული M47 ამერიკული ტანკის ნაცვლად თურქულმა არმიამ მიიღო M60 და „ლეოპარდ-1“ სერიების 1180-მდე საბრძოლო ტანკი, 1100 მოძველებული ჯავშანტრანსპორტერის ნაცვლად — UPR-765 სერიის 1480 მოჯავშნული საბრძოლო მანქანა, 340 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, ექვსი ამერიკული ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა MLRS, რომლებიც აღჭურვილი არიან ATACMS ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების გასაშვები მოწყობილოებით, 40-მდე დამრტყმელი ვერტმფრენი AH-1W/P „ქინგ კობრა“. საჰაერო ძალებში მართალია საბრძოლო თვითმფრინავების რაოდენობა შეამცირეს, მაგრამ ეს განახორციელეს უკვე გვარიანად მოძველებული და ნაკლებ საიმედო F-5 და F-104 სერიების მანქანების ხარჯზე, სამაგიეროდ თანამედროვე ამერიკული F-16C/D ავიაგამანადგურებლების რაოდენობა 71-დან 240 ერთეულამდე გაზარდეს; საზღვაო ძალებში 1940-50-იან წლებში გამოშვებული ამერიკული წყალქვეშა ნავების და მსხვილი წყალზედა საბრძოლო ხომალდების ნაცვლად მიიღეს 209 ტიპის გერმანული ტაქტიკური წყალქვეშა ნავები, „ნოქსის“, „პერისა“ და MEKO-200 ტიპის საკმაოდ თანამედროვე და ძლიერი ფრეგატები.

თუ გავიხსენებთ, რომ დასავლეთის მმართველი წრეების მიერ თურქული სამხედრო მანქანის ასე არაადექვატურად გაძლიერებას საფუძველი ჩაუყარეს ჯერ კიდევ 1990 წლიდან, ანუ როდესაც ლაპარაკიც კი არ იყო რუსეთ-ირანის სამხედრო თანამშრომლობის განვითარებაზე, ცხინვალის მიმართულებისკენ შემტევი ქართული ფორმირებების უკან გამოწვევასა და შემდეგ აფხაზეთში რეალური, მაგრამ წარუმატებელი საბრძოლო მოქმედებების დაწყებაზე, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კავკასიაში სისხლიანი კონფლიქტების განვითარებაში მმართველ წრეებს არ ეკუთვნის დამარეგულირებლის როლი. ე. წ. „ცხელ რაიონად“ გადაქცეულ საქართველოს ამერიკელი და სხვა ნატოელი სამხედრო მრჩევლები სთავაზობენ შეიარაღებული ძალების მშენებლობის ნიდერლანდურ-ბელგიურ-დანიურ მოდელს. მას „ნატოს სტანდარტებად“ გვასაღებენ და უტიფრად გვატყუებენ, თანაც უნდათ, რომ მათი მადლიერებიც ვიყოთ. ასეთია ჩვენი სამწუხარო რეალობა.

„ნატოს სტანდარტებთანაა“ დაკავშირებული შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის გარკვეული დონეც. თავისთავად ცხადია, რომ ევროატლანტიკური სივრცის სახელმწიფოთა სამოკავშირეო შეიარაღებულ ძალებს მაღალი დონის საბრძოლო მზადყოფნა და ბრძოლისუნარიანობა უნდა გააჩნდეს. მაგრამ ჩვენს შეშფოთებას იწვევს ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული მცდარი და ეიფორიული შეხედულება ამ საკითხზე. განა ცივი ომის პერიოდში ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებს ნაკლები ბრძოლისუნარიანობა გააჩნდა? მე-2 ცხრილში მოგვყავს ორი სამხედრო ბლოკის მოსახლეობისა და ტერიტორიის მიხედვით თანაზომადი ქვეყნების შეიარაღებული ძალების შედარებითი მაჩვენებლები, რაც ნათლად გვიდასტურებს, რომ ნატოს სახელმწიფოებს არც ჯარების ბრძოლისუნარიანობის მხრივ ჰქონიათ აღმოსავლეთ ევროპელებზე რაიმე უპირატესობა. ან იქნება ავსტრიის, ფინეთის, შვედეთისა და შვეიცარიის შეიარაღებული ძალები ჩამოუვარდება საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის მიხედვით ნატოს მცირე ევროპულ სახელმწიფოებს? სრულებითაც არა.

ასეთ ფონზე ჩვენი ხელისუფლების რეალურად დაინტერესების შემთხვევაში საქართველოს თავად შეეძლო საკმარისად ძლიერი და ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება, მაგრამ ეს სამწუხაროდ არ მომხდარა. ახლა ჩვენ ალტაცებული ვართ ნატოს სტანდარტებით ამერიკელებისა და თურქების მიერ საქართველოს შეიარაღებული ძალების, უფრო სწორად, რამდენიმე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის მომზადებით, მაგრამ გვავიწყდება, რომ სულ რამდენიმე წლის წინ სომხეთ-აზერბაიჯანის საომარი კონფლიქტის დროს სომხურ ჯარებს წვრთნიდნენ რუსი სპეციალისტები, აზერბაიჯანული ჯარების ერთ ნაწილს კი — თურქები. თურქი ოფიცრების მიერ მომზადებულ აზერბაიჯანულ ნაწილებს „თურქულ ბრიგადებს“ უწოდებდნენ. აზერბაიჯანული არმიის რიცხობრივი და შეიარაღებაში უპირატესობის მიუხედავად სომხებმა ისინი, მათ შორის „ნატოს სტანდარტებით“ გაწვრთნილი „თურქული ბრიგადები“ სასტიკად დაამარცხეს და აზერბაიჯანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაინარჩუნეს.

**ირაკლი ხართიშვილი**

| სახელმწიფო | საბრძოლო ტანკები | მოჯავშნული მანქანები | საველე არტილერია | დამრტყმელი ვერტმფრენები | საბრძოლო თვითმფრინავები | წყალქვეშა ნავები | მსხვილი სარძოლო ხომალდები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1991 წელი | | | | | | | |
| საფრანგეთი | 1358 | 4125 | 1330 | 429 | 700 | 17 | 41 |
| გერმანია | 4726 | 5479 | 2637 | 357 | 845 | 24 | 14 |
| თურქეთი | 3783 | 3560 | 4187 | 0 | 650 | 15 | 20 |
| 2000 წელი | | | | | | | |
| საფრანგეთი | 834 | 4613 | 802 | 339 | 517 | 11 | 35 |
| გერმანია | 2815 | 4959 | 2115 | 204 | 559 | 14 | 14 |
| თურქეთი | 4205 | 4293 | 4964 | 37 | 505 | 14 | 21 |

| სახელმწიფო | მოსახლეობა | რეგულარული შძ | რეზერვები | საბრძოლო ტანკები | მოჯავშნული საბრძოლო მანქანები | საველე არტილერია | დამრტყმელი ვერტმფრენები | საბრძოლო თვითმფრინავები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნატოს ბლოკი | | | | | | | | |
| ბელგია | 9860800 | 85450 | 234000 | 359 | 2068 | 376 | – | 185 |
| საბერძნეთი | 10174400 | 158500 | 406000 | 1879 | 2289 | 1908 | – | 448 |
| ნიდერლანდები | 14810800 | 101400 | 152400 | 913 | 3216 | 824 | – | 204 |
| ესპანეთი | 40083400 | 257400 | 2400000 | 854 | 1922 | 1385 | 29 | 268 |
| ვარშავის პაქტი | | | | | | | | |
| ბულგარეთი | 9080000 | 107000 | 472500 | 2149 | 2204 | 2233 | 44 | 266 |
| უნგრეთი | 10555400 | 86500 | 210000 | 1482 | 1770 | 1087 | 39 | 145 |
| ჩეხოსლოვაკია | 15740400 | 154000 | 495000 | 3200 | 3460 | 3446 | 56 | 395 |
| პოლონეთი | 38038000 | 305000 | 507000 | 2850 | 2349 | 2300 | 29 | 559 |

# პოლიტიკოსთა დაკა-დაკა-ორომტრიალი და საზოგადოების გულის ფრიალი

(ამონარიდი სადოქტორო დისერტაციიდან)

ბიოლოგიაში ხარისხის დაცვამ ვერც ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მდგომარეობა გამიუმჯობესა და ვერც ეკონომიკური. კიდევ კარგი, რომ სადოქტორო დისერტაციის მასალები დროულად დავწვი, თორემ ახლა ჩემი სახით მეცნიერებათა კანდიდატი კი არა, დოქტორი იშიმშილებდა. მე ის ვერ ამიტანია, რომ სხვა მეცნიერების, მითუმეტეს, აკადემიკოსების „აკადემიურ" გაჭირვებას ვუყურებ და იმას გავუძლებდი დოქტორს რომ მეშიმშილა?! ჰოდა, ძალიან კარგი, რაც მოვიმოქმედე. სხვათა შორის, შესანიშნავად მოეკიდა. იმ ცივ ზამთარში ორი დღე ვთბებოდით და ჩაისაც იმ ცეცხლზე ვადუღებდით. არა მგონია, ამის გამო ჩვენი მამა-მარჩენალი (გვარს ვერ დავასახელებ) სირცხვილით ან ცოდვით დაიწვას, რადგან მას და მის გვერდში მდგომებს, მეცნიერება ფეხებზე ჰკიდიათ. ხალხი, რომლებმაც მილიონები დაიტაცეს (არადა, როცა მილიონებზე საუბრობენ, მე სულ პენიცილინი მგონია), რატომ დაინტერესდებიან მეცნიერებით და მის წიაღში ჭიანჭველებივით მოფუსფუსე, უპრეტენზიო, მათხოვრების დონეზე დასული ადამიანებით?! „მთავარია გქონდეს ფული, რომ არ იყო დაჩაგრული!" — აი, ის „ლოზუნგი", რომლის ქვეშაც არიან დარაზმულები დღევანდელი თვითმარქვია „ელიტის" ანუ მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები.

რასაც ჩვენ, ანუ „ბრბო" ვუყურებდით წინასაარჩევნო პერიოდში, რა ხდებოდა, როგორი დაკა-დაკა და ორომტრიალი იყო სკამისმაძიებელთა შორის, ადამიანობა შეგზიზღდება. ისე, რაც მეტად გაუთქვეფენ ერთმანეთს ცხვირ-პირს, მით უფრო მეტს ვიცინებთ შორიდან მაყურებლები. აბა, ის რას ჰგავს? — გამოდის ვილაცა თავხედი და აცხადებს: „გინდათ თუ არა, მე ამირჩიეთ და მერე მე ვიცი, ქვეყანას ავაყვავებ და ხალხსაც გავაბედნიერებო". ისე აყვავდეს იმათი ოჯახები, ვინც ასე „წალკოტად" გვიქცია საქართველო.

სკამისმაძიებელთა ძალადობა, იმ „ერთუჯრედიანი" კაცების თავხედობას მახსენებს ხოლმე, სუფრის თავში რომ დასკუპდებიან და ყოველგვარი წარდგინება-არჩევის გარეშე თავიანთ თავს თამადად გამოაცხადებენ.

კორუმპირებულებს და კორუფციის მიზეზებს რომ ეძებს (რა თქმა უნდა, ყასიდად) ჩვენი პრეზიდენტი, ჩამოუაროს იმ კარიერისათვის გაშმაგებულ კაცუნებს და ჰკითხოს: საიდან აქვთ თანხები, რომლითაც სკამების ყიდვას აპირებენ?! ან უკვე ნაყიდი აქვთ. — ვისი ფულებით ააშენეს და აშენებენ სრა-სასახლეებს? — რა შემოსავლების შედეგია ამდენი სუპერმარკეტი, ბანკები, უძვირფასესი მანქანები და ა. შ. ღმერთო, მაპატიე! — ნეტავ, ნაქურდალი დოლარებით, ან სულაც აი, იმ აფერისტული ქმედებით ხომ არ არის ნაშოვნი, რასაც ხალხის მიერ სალაროებში გასაორმაგებლად შეტანილი თანხები ჰქვია?! ამ წვრილმანებმა და კიდევ უფრო სერიოზულმა საკითხებმა გადამაწყვეტინეს სადოქტორო დისერტაციის დაცვა პოლიტოლოგიაში. გაგიკვირდათ, არა? — დაწყნარდით და დაუკვირდით რა ხდება, ფასიანი ტუალეტების მომსახურე პერსონალიდან დაწყებული, კანცელარიამდე, ყველა პოლიტიკით ერთობა და მე რა გამონაკლისი მნახეთ?!

საერთო სათაური ჯერ არ მომიფიქრებია. საკითხები, რომელზეც დაფუძნებული იქნება დისერტაციის არსი, ჩამოთვლილია ქვემოთ:



— ბუშს შავ სიაში შეუყვანია ჰონკონგის გრიპი, ხალხს ხოცავსო!
— ჩვენ როდის გვეშველება და შევარდნაძეს შეიყვანს!

1. „სისხლის ფასად შეფასებული სავარძლები საქართველოში";
2. „მესკამეობის აყვავება საქართველოში და უსკამო-უმაგიდო სკოლები";
3. „დიდი პოლიტიკოსის პატარ-პატარა ოინები";
4. „დაკარული სამოთხე, ანუ აფხაზეთი და სამაჩაბლო";
5. „არჩევნები და ქურდული გარჩევები";
6. „საბაზრო ეკონომიკა და გაბაზრებული ქვეყანა";
7. „ბოზობა, ჰომოსექსუალიზმი და საქართველოს ბიუჯეტი";
8. „საჯაროდ შერცხვენილ-გადეზერტირებული ქართული ჯარი და პოდიუმი პანკისის ხეობაში";
9. „ბაქო-მამათი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და პრეზიდენტის „კუტოკი";
10. „როცა კაცი არ ჰყოფნის ხელფასს და პენსიას";
11. „დიდი 'პოლიტიკოსის წყალობით დაპატარავებული საქართველო";
12. „რას ნიშნავს გამოთქმა „საქართველო", თუ არ იარსებებს ეროვნება — ქართველი?!";
13. „ვინ გადაიხდის შევარდნაძის მიერ საქართველოს „ასაყვავებლად" ნასესხებ მილიარდებს, თუ თანხები თვითონ და მისმა ნათესავებმა მიითვისეს?!";
14. „მაძღარი ქურდები და მშიერი აკადემიკოსები";
15. „გამოტენილი სუპერმარკეტები და გამოფხეკილი ჯიბეები";
16. „ლატაკი ქვეყნის ულტრამილიონერები და მილიარდერები";
17. „თეთრი მელა, თუ ედუარდ ბაბა და უთვალავი ყაჩალი?!";
18. „ქართული პოლიტიკა და მცნებები: „არა იცრუო", „არა იმრუშო", „არა კაც ჰკლა";
19. „ვაჟების გათხოვების პრობლემები „დამოუკიდებელ", „დემოკრატიულ" საქართველოში".

აი, იმ საკითხების მოკლე ნუსხა, რომელთა საფუძველზეც, ცოტა ხანში დავამთავრებ და საჯაროდ დავიცავ ჩემს სადოქტორო დისერტაციას.

**პოლიტიკური იდეებით დაავადებული ბიოლოგი**
**ნიკოლოზ იოსებიძე**

# ფილტვების გაწმენდა

რატომ არის აუცილებელი ფილტვების გაწმენდა: ახლანდელ დროში, როცა ჰაერი გაჭუჭყიანებულია ათასგვარი მავნე ნივთიერებებით, როცა ერთის მხრივ უხარისხო, ტყვიის შემცველი ბენზინის, მეორეს მხრივ კი გაუმართავი მანქანების მიზეზით ჰაერში საკმაო რაოდენობით გროვდება კანცეროგენული (კიბოსგამომწვევი) ნივთიერებები, როცა მკვეთრად გაიზარდა სიგარეტის მწეველთა რიცხვი — ფილტვებში დიდი რაოდენობით გროვდება ათასგვარი შლამები, ტოქსინები, მავნე ნივთიერებები, რაც იწვევს ფილტვების ფუნქციების დარღვევას. ფილტვების ფუნქციის დაქვეითება კი აისახება მთელ ორგანიზმზე.

ფილტვების დანიშნულება მარტოოდენ სუნთქვის აქტის განხორციელება არაა. ფილტვები: 1) ახორციელებენ კონტროლს კანის და თმების მდგომარეობაზე, 2) ფილტვების გაუწმენდაობა დროთა განმავლობაში ამცირებს სქესობრივ აქტივობას, უნარს, შესაძლებლობას და ამრიგად დაკავშირებულია გამრავლების სფეროსთან, 3) ფილტვების ფუნქციების დაქვეითება იწვევს ნაადრევ სიბერეს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს.

ფილტვებზე დამანგრეველად მოქმედებს დარდი და ნაღველი. ნაღვლიანობას შეუძლია ფილტვის ტუბერკულოზი გამოიწვიოს.

ფილტვები განუყოფლად არიან დაკავშირებულნი მსხვილ ნაწლავთან. ფილტვის დაავადებებს ვერ განვკურნავთ, თუ არ მოვიყვანთ წესრიგში მსხვილ ნაწლავს.

რა დაავადებებს ვმკურნალობთ ან თავიდან ავიცილებთ ფილტვების გაწმენდით: ქრონიკული სურდო, ყელსა და პირის ღრუში სიმშრალის შეგრძნება, თავბრუხვევა, ზემო კიდურების დაბუჟების და შეცივნების შეგრძნება, კანის ქავილი, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, მოდუნება, ადვილად დაღლა, გულმავიწყობა, შიშები, ნაღვლიანობა, სიმსუქნისკენ მიდრეკილება, ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმისაკენ მიდრეკილება, სქესობრივი პოტენციის დაქვეითება.

გაწმენდის მეთოდიკა: 1) მეთოდი №1 — ნაძვის წიწვიანი რძით.

ნახევარ ჩაის ჭიქა თხის რძეში ვხსნით 1 სმ დიამეტრის და სიგრძის ნაძვის ხის ფისს. ვსვამთ თბილ მდგომარეობაში ძილის წინ. ამასთანავე მკერდს და ზურგს ვიზელთ სკიპიდარის მალამოთი.

2) მეთოდი №2 — შავი ბოლოკის კომპრესი:

შავ ბოლოკს ვხეხავთ მსხვილ სახეხზე (პლასტმასის) საშუალო ძალით გამოვწურავთ წვენს, ვუმატებთ გემოვნების მიხედვით შაქარს ან თაფლს და ვსვამთ ძილის წინ. დარჩენილი ბოლოკის გამონაწურს ვახვევთ დოლბანდის 4-6 შრეში და ქსოვილის ერთ შრეში, ვათავსებთ გულმკერდზე და ვაფარებთ შალის ნაჭერს, ზემოდან კი — თბილ საბანს.

# სახსრების გაწმენდა

რატომ არის აუცილებელი სახსრების გაწმენდა: დღესდღეობით, ალბათ, არ არის ადამიანი, რომელიც არ გრძნობდეს ტკივილს ან თუნდაც დისკომფორტს სახსრებში და ხერხემალში მარილების დაგროვებით. დროთა განმავლობაში ჩვენი სახსრები, ხერხემალი კარგავენ თავიანთ ელასტიურობას და მოქნილობას, „ნაგვიანდება" სხვადასხვა მარილებით, ძირითადად არაორგანული კალციუმით. საჭიროა დროულად გავთავისუფლდეთ მათგან.

რა დაავადებებს ვმკურნალობთ ან ავიცილებთ სახსრების გაწმენდით: პოდაგრული ართრიტი, ოსტეოქონდროზი, ამინდის ცვალებადობასთან დაკავშირებული ძვლების ტკივილი.

გაწმენდის მეთოდიკა: მეთოდი №1 — დაფნის ფოთლით.

დილით 5 გ დაფნის ფოთოლს (რამდენიმე ფოთოლი) ვათავსებთ მომინანქრებულ (ემალის ჭურჭელში) და ვასხამთ 300 გ წყალს. მიგვყავს დუღილამდე და ვადუღებთ 5 წუთს თავლია მდგომარეობაში. შემდეგ ჭურჭელს გადმოვდგამთ ცეცხლიდან, ვახურავთ თავს და გადასაფარებლით კარგად შევფუთავთ. ასე ვაჩერებთ 3 საათს.

მიღება: 12 საათის განმავლობაში მხოლოდ მცირე ყლუპებად, 1 ჩაის კოვზი ყოველ 12 წუთში (ერთბაშად დიდი დოზით გამოყენებამ შეიძლება სისხლდენა გამოიწვიოს!) ნახარშს ვლებულობთ სამი დღის განმავლობაში. ერთი კვირა ვისვენებთ და შემდეგ ისევ ზედიზედ 3 დღის განმავლობაში. პირველ წელს წმენდას ვახდენთ კვარტალში ერთჯერ, შემდეგ კი — წელიწადში ერთჯერ.

მოსალოდნელი მოვლენები: წმენდისას შეიძლება გაძლიერდეს შარდვა, შარდი გახდეს ვარდისფერი, ადგილი ჰქონდეს შარდის ბუშტში და შარდსადინარში წვის შეგრძნებას. არაფერია საშიში: მარილები იმდენად ინტენსიურად იხსნება, რომ მათი მაღალი კონცენტრაცია აღიზიანებს შარდგამომტან ორგანოებს.

უნდა დავიმახსოვროთ: აუცილებელია გაწმენდის წინ და წმენდის დროს მსხვილი ნაწლავის ოყნით გაწმენდა და გაწმენდის მთელი დღეების განმავლობაში ვეგეტარიანული (უხორცო) კვება. გაითვალისწინეთ, რომ თუ ასე არ მოიქცევით მაშინ დაფნის ფოთლის გამოყენება გამოიწვევს მსხვილ ნაწლავში არსებული განავლოვანი ქვების გახსნას და მათში მოთავსებული მავნე ნივთიერებების სისხლში გადასვლას, რასაც მოჰყვება ალერგიული რეაქციები.

2) მეთოდი №2 — ოხრახუშით და რძით.

1 ჭიქა ოხრახუშის გახეხილ ფესვებს ვასხამთ 0,5 ლ ცხელ რძეს და ვტოვებთ თერმოსში მთელ ღამეს. დილით ნარევს ავურევთ, ვყოფთ სამ ნაწილად და ვლებულობთ მთელი დღის განმავლობაში 3-ჯერ, ჭამამდე 3 წუთით ადრე. გაწმენდა გრძელდება 10-12 დღე.

თუ ფესვებს ვერ ვშოულობთ, შეიძლება ოხრახუშის დაქრესილი თესლების გამოყენება, მხოლოდ ის უნდა ავიღოთ ერთი ჩაის კოვზი 0,5 ლ რძეზე. მიღების წესი იგივეა.

3) მეთოდი №3 — ნიახურით.

ამ მეთოდით წმენდა რეკომენდირებულია მათთვის, ვისაც ხელის და ფეხის თითებზე აქვთ ძვლოვანი წანაზარდები. გარდა ამისა, ნიახურის წვენით მკურნალობა დადებითად მოქმედებს ღვიძლზე, თავიდან აგვაცილებს შარდის ბუშტის ანთებას — ცისტიტს და პროსტატიტს.

ვიღებთ ნიახურს მთლიანად (ფესვების სისქე არ უნდა იყოს 1,5 სმ-ზე ნაკლები). კარგად ვრეცხავთ, ვატარებთ ხორცსაკეპში, ვწურავთ წვენს. წვენს ვლებულობთ ორი სუფრის კოვზს 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

კომპრესი: წვენის სმის პარალელურად ვიკეთებთ კომპრესს. ამისათვის გამონაწურს (ე. ი. რაც დარჩება ნიახურისაგან წვენის გამოწურვის შემდეგ) ვადებთ მტკივნეულ ადგილას, რომელიც წინასწარ დამუშავებულია მცენარეული ზეთით. ვაფარებთ გამონაწურს ზემოდან მკვრივ ქსოვილს და შემოვახვევთ შალის ნაჭერს. ვაჩერებთ მინიმუმ 1 საათს. შეიძლება მეტიც, სანამ გაუძლებთ. 3-4 ასეთი პროცედურის შემდეგ წანაზარდები მთლიანად გაქრება.

**კ. საბახტარიშვილი. „სამკურნალო წიგნი", ტ. 3. თბილისი, 1997.**

# დაუშვებელია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების დღეს გაყიდვა

მიწის საკითხი ქვაკუთხედია არა მარტო ქვეყნის სოციალ-ურ-ეკონომიკური განვითარებისა, არამედ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისაც. სწორ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

1996 წელს მივიღეთ „კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", რომელიც შედგენილ იქნა გერმანული საკანონმდებლო აქტების მიხედვით და რომლიდანაც ამოღებული იქნა მიწის უნიკალური დახასიათება, როგორც განსაკუთრებული ფენომენისაც, რის გამოც მისი ნივთთან გათანაბრება არ შეიძლება.

კანონი შეეხო მიწების 21% საკარმიდამოებს, საბალბოსტნე და საგარაკო მიწებს. იგი არ შეხებია ტყის, წყლის, ზღვის მიწებს, საძოვრებს, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს. ასე რომ, ეს დარგი დღემდე კანონგარეშეა. ბუნებრივია, მიწის მესაკუთრეთა ინტერესების დაცვის ასოციაციის მიერ განსახილველად წარმოდგენილი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზაციაც" არ არის მიწის კანონი.

1998 წელს ზ. გეგეჭკორმა პარლამენტს წარუდგინა კანონპროექტი: „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაცემის შესახებ".

აგრარული კომიტეტის იმდროინდელ თავმჯდომარეს როზა ლორთქიფანიძეს არ უნდა დაეშვა აღნიშნული კანონპროექტის განსახილველად პარლამენტში შეტანა. მითუმეტეს, რომ **მუსირებს აზრი, ებრაელმა რევაზ არონიშვილმა 5 მილიონი დოლარი გადაიხადა იმისათვის, რომ აღნიშნული კანონი პარლამენტს მიეღო. კანონის სესიაზე გატანა ითავა დეპუტატმა ზ. ცქიტიშვილმა, მას მხარს უჭერდნენ: ზ. ჟვანია, ვ. მერაბიშვილი, მ. სააკაშვილი, კ. დავითაშვილი და თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლები, რომლებიც „მიწის მესაკუთრეთა ინტერესების დაცვის ასოციაციის" წევრებიც არიან.** ზ. ცქიტიშვილი აცხადებდა, რომ შეიქმნება მიწის ბაზარი და ქვეყანას ეშველება (როგორ ეშველა, ყველასათვის ცნობილია: იყიდება საქართველოს უძველესი და უნიკალური ძეგლებით დაფარული ტერიტორიები, ქართველი ერის ისტორიული და ხელშეუხებელი საგანძური, რაც კორუფციის წყაროდაცაა გადაქცეული).

დიღომში, აგრარული უნივერსიტეტისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებობდა საცდელ-საჩვენებელი კვლევითი მეურნეობები, ხეხილის ბაღები. ამჟამად ეს ტერიტორია დაფარულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი, სააგარაკე და სხვა დანიშნულების შენობებით. ვინ და რა უფლებით გაყიდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ეს მიწები?

განსახილველად წარმოდგენილი პროექტით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის შეძენა შეუძლიათ აგრეთვე საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის სუბიექტებს უცხოელ იურიდიულ პირებს, რაც მცირემიწიანი საქართველოსთვის დიდად საზარალოა. ამ გზით დიდძალი მიწა გადავა უცხოელების ხელში (ამ დროს, ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნებში მიწას ვერ შეიძენ, თუ ამ ქვეყნების მოქალაქე არა ხარ).

საქართველოში გრძელვადიანი იჯარით, შესყიდვის უპირატესი უფლებით, აღებული აქვთ დაახ. 400 ათასი ჰექტარი მიწა. ამრიგად, უცხოელების, საქართველოს მიმართ არაკეთილგანწყობილი ადამიანების, შიგადაშიგ — ქართველი ოლიგარქების ხელში აღმოჩნდება ჩვენი მიწა-წყლის დიდი ნაწილი. ჩვენი გაღატაკებული მოსახლეობა გახდება ამ ხალხის მიერ ექსპლუატაციის საგანი.

ამჟამად, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში შემოღებულია კანონი, რომლის მიხედვით მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის მიწის შეძენა ან იჯარით აღება შეუძლია ერთ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

უნდა ითქვას, რომ ქართველი „პოლიტიკოსების" დიდი ნაწილი არ ცნობს ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს მიწათსარგებლობის დარგში (ამას უცხოელებიც ადასტურებენ) და არ იყენებს მას. ასევე უგულვებელყოფილია გასული საუკუნის მწარე გამოცდილება, როდესაც უცხო კაპიტალისტებმა (XIX ს. 80-იან წლებში) ხელში ჩაიგდეს ჩვენი მიწა-წყლის დიდი ნაწილი და დიდძალ კაპიტალსაც ფლობდნენ, მაგრამ იგი ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას კი არ ხმარდებოდა, არამედ მიედინებოდა მათი ქვეყნების ინტერესების სასარგებლოდ. ცნობილია დღეს საქართველოში „მოღვაწე" ზოგი კაპიტალისტის განცხადებაც: „საქართველოში ჩვენ საქველმოქმედოდ არ ჩამოვსულვართო".

პირველი მოწვევის პარლამენტში მუშაობის დროს ქართველ სპეციალისტებს მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის, გაეროს სპეციალისტებთან: ამერიკელ კონგრესმენ აგრარიკოს ევანს კუპერთან, მსოფლიო ბანკის ექსპერტთა ჯგუფთან: ჩაბა-ჩაკთან, ეზრიელ ბრუკთან, ბრიტანელ საკადასტრო რუქების სპეციალისტთან ე. გ. გილბერტთან, აგრეთვე სპეციალისტებთან: კ. ჯარნისონთან, ჯ. პრაისთან, კ. მედოკთან და სხვებთან, რომლებიც გვაფრთხილებდნენ, რომ მიწის სრული ინვენტარიზაციის, საკადასტრო და სხვა აუცილებელი სამუშაოების ჩატარების, საკანონმდებლო ბაზის შექმნის და მიწის კანონის მიღების გარეშე არ შეიძლებოდა ასევე არც რეფორმის დაწყება და მიწის ბაზრის შექმნა".

ამავე დროს ზემოთ დასახელებული სპეციალისტები გვირჩევდნენ: „თუ თქვენ მიწის სასაქონლო ბრუნვაში მოქცევის წინააღმდეგი ხართ, გაეცით იგი გრძელვადიანი იჯარით. ეს ისევე შეუწყობს ხელს ქვეყანას ახალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში, როგორც მიწის ყიდვა-გაყიდვა".

ანალოგიური აზრია გატარებული მსოფლიო ბანკის მიერ გასულ წელს რუსეთში გამოქვეყნებულ ნაშრომში: **"Правовые препятствия для эффективных сельских земельных отношении в восточной Европе и центральной Азии"**, საიდანაც ამავე დროს ირკვევა, რომ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში მიწის რეფორმა არ ჩატარებულა ისეთი დარღვევებით, როგორც ჩვენთან. ბევრად უკეთესი მდგომარეობაა აგრეთვე ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამ რესპუბლიკებში, ჩვენგან განსხვავებით, ჩატარებულია ყველა მოსამზადებელი სამუშაო, შექმნილია საკანონმდებლო ბაზა, მიღებულია კანონები. სომხეთი სუფთა ეროვნული ქვეყანაა. აქ არ არსებობს სეპარატიზმი. აზერბაიჯანში უცხოელი მიწის წიაღისეულს და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტს ვერ შეიძენს. არ არსებობს მიწის ქვეიჯარა (რომელიც სოფლის მეურნეობისთვის ძალიან მავნეა) და ა. შ

„ნაციონალისტები" მ. სააკაშვილი, ვ. მერაბიშვილი და კ. დავითაშვილი აშკარად გაურბიან დარგის სპეციალისტებთან შეხვედრას, თუმცა გასულ წელს მათ გადავეცით სპეციალური ლიტერატურა, მათ შორის — ლ. ჭანტურიას მიერ 1991 წელს გამოქვეყნებული მიწის რეფორმის პროგრამა (მაშინ მ. სააკაშვილი იურიდიულ კომიტეტს ხელმძღვანელობდა, ვ. მერაბიშვილი — ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს). როგორ უნდა აიხსნას ყოველივე ეს? ეს ბატონები სერიოზულად ამტკიცებენ, რომ თუ პირადობის მოწმობებიდან ეროვნებას ამოვიღებთ, ეთნიკურ კონფლიქტებს და სეპარატიზმს ბოლო მოეღება. იქნებ იმისი იმედიც აქვთ, რომ დღევანდელი სეპარატისტები გაქართველდებიან (რაც პრინციპულად მიუღებელია არადემოკრატიულობის გამო). ჩვენი აზრით, პირიქით მოხდება: სეპარატისტები, რომლებსაც ჩვენი მიწა-წყალი მხოლოდ სარგებლობაში ჰქონდათ, დღეს კი საკუთრებაში დავუკანონეთ, რატომ შეიცვლიან აზრს?

1996 წელს ვ. მერაბიშვილმა და ჯ. ებანოიძემ დააარსეს არასამთავრობო ორგანიზაცია „მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია". ეს სახელწოდება, შესაძლებელია, ლამაზად გამოიყურება დონორი ქვეყნების თვალში. მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია თითქოს იცავს მიწის მესაკუთრე გლეხობის უფლებებს, მაგრამ ვისგან, რა საფრთხე ემუქრება ამ უფლებებს? ჩვენი აზრით, არავითარი. ასოციაცია რომ გლეხობის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს იცავდეს, მაშინ მისი მუშაობა გასაგები იქნებოდა. ასოციაცია და „ნაციონალისტები" ვერ უარყოფენ, რომ გლეხი მიწაზე გაწეულ ხარჯებს ვერ ინაზღაურებს. გლეხს არც საშუალება და არც სურვილი აქვს დიდი მოსავალი მოიწიოს, რადგან ბაზარი არ არსებობს: არსებობს მაფიოზური და კრიმინალური კლანები, რომლებიც ხელოვნურად ძირს სწევენ პროდუქციის ფასს. ამის მაგალითია კახეთში ხორბლის დიდი მოსავლის პირობებში მისი გაუსაღებლად დარჩენა.

მიწის კადასტრი დარგის სტრატეგიაა. ბატონი ჯაბა ებანოიძე ამტკიცებს, რომ კადასტრი გაკეთებულია. მაგრამ როდის გაკეთდა საკარმიდამოების, საბალბოსტნეების, სააგარაკე მიწის ნაკვეთების, არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კადასტრი? ეს ხომ სინამდვილეს არ შეეფერება! ამას ხომ ბატონი ზ. გეგეჭკორიც ადასტურებს და კადასტრის ჩაუტარებლობას უსახსრობით ხსნის! ამავე დროს, არ მუშაობს ლაბორატორიები, საიდანაც უნდა მივიღოთ ნიადაგის თვისობრივი, ხარისხობრივი და სამართლებრივი შეფასება. ეს კარგად ჩანს, სხვათა შორის, წარმოდგენილი კანონპროექტიდანაც.



განსახილველად წარმოდგენილ კანონპროექტის შესავალში საუბარია საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა განხორციელდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 461 000 ჰექტარი მიწის ინვენტარიზაცია და საკადასტრო სამუშაოები (რის გამოც გარკვეული დროით უნდა გადაიდოს მიწის ბაზრის ჩამოყალიბება), რაც ძალიან კარგი იქნება.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, სხვათა შორის, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ სოფელ ქვედა საქარაში დარიგებული მიწის მესაკუთრის პასპორტები არასრულფასოვანია. იგივე ითქმის იმ 2 მილიონ „პასპორტზეც", რომლებიც სხვაგან დარიგდა.

შვეიცარიაში (და სხვაგანაც) კადასტრი კეთდება ყოველწლიურადაც. მაგალითად, შემოდგომაზე სოიოს აღების შემდეგ ადგენენ, რა სასარგებლო დატოვა ნიადაგში ამ მცენარემ, მომავალ წელს რომელი კულტურის მოყვანაა მიზანშეწონილი და ხელსაყრელი და ა. შ.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა შექმნილი ქვეყანაში მიწების ინვენტარიზაციის თვალსაზრისით. უსახსრობის გამო ამის გაკეთება დღის წესრიგშიც კი არ დგას. ამ დროს ვაპირებთ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების და მასზე განლაგებული უძრავი ქონების გაყიდვას? ასეთ შემთხვევაში, ალბათ, ანალოგი არ მოიძებნება დედამიწაზე. ამას დაგვიდასტურებენ არა მარტო დარგის სპეციალისტები, არამედ მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის, გაეროს წარმომადგენლები და საქართველოს გლეხობა.

ღია და სპეციალურ აუქციონებზე, სადაც უნდა გაიყიდოს ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი მოსახლეობა მონაწილეობას ვერ მიიღებს უსახსრობის გამო, ეს კი გამორიცხავს საშუალო ფენის ჩამოყალიბებას. როგორც ჩანს, ეს არც არავის აინტერესებს. ეს პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის და საზოგადოების განვითარებისთვის უაღრესად მძიმე შედეგებს გამოიღებს.

ამრიგად, ქვეყანაში შექმნილი უაღრესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო დაუშვებელია წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება. ამიტომ, უმორჩილესად ვთხოვთ: ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, ბატონ ბეჟან გონაშვილს, ბატონ ზურაბ ცქიტიშვილს, „ნაციონალისტებს", სოციალისტებს, მემარჯვენეებს, მემარცხენეებს, ამ ეტაპზე თავი შევიკავოთ ქვეყნისათვის ამ საბედისწერო ნაბიჯისაგან.

**დარგის სპეციალისტები:**
**თ. ჩხეიძე**
**გ. ურუშაძე**
**ლ. ფრუიძე**
**ბ. თავაძე**
**ო. სალარეიშვილი**
**ი. კიკაბიძე**
**ბ. გოგია**
**ტ. ჩიქოვანი**
**ა. ბენდიანიშვილი**
**გ. მაჭათაძე**
**ლ. კაჭარავა**

## როგორ შევვათრიეს «ესენგეში»?!

გაგრძელება. დასაწყისი მე-2 გვ.

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

ითხს. საკითხს შევხედოთ იმ კუთხიდან, რომ რა გვეშველება, როგორ გადავრჩეთ, როგორ მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რომ გადავრჩეთ. არადა ღმერთმა იცის და ხალხმაც იცის, რომ გათავებული იყო საქართველოს ბედი, გადაწყვეტილი იყო საქართველოს ბედი. ყველა თქვენთაგანს მიუწვდება ხელი ამ ინფორმაციაზე. მე ვიცი ძალიან კარგად და იცით თქვენც, რომ გადაწყვეტილი იყო საქართველოს ბედი. საქართველო პრაქტიკულად დღეს დაშლილი იქნებოდა, თუ არა „სნგ"-ს გადაწყვეტილება, მაშინ სულზე მოუსწრო ამ „სნგ"-ს გადაწყვეტილებამ. (ხმაური დარბაზში). არავის არ უხარია რაღაცის დათმობა ქვეყანაზე და ყველას გვინდა ვიყოთ დამოუკიდებლები, ბედნიერები და ვიყოთ მარტო პატარა სახელმწიფო კი არა, თუნდაც ზესახელმწიფო გავხდეთ. ღმერთმა ქნას იყოს როდესმე. მაგრამ რეალისტები ხომ უნდა ვიყოთ ოდნავ მაინც. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ვიდრე ჩვენ იმ პულტს ხელს მივაჭერთ, ვიდრე გავიფიქრებთ იმაზე, რომ ჩვენ უნდა მივიდეთ ჩვენს ამომრჩეველთან და იმ ჩვენს ამომრჩეველს უნდა ვუთხრათ, თუ რატომ გადავდგით ეს ნაბიჯიო, მანამდე კარგად დავფიქრდეთ, რას ვაძლევთ ხმას, ძალიან კარგად დავფიქრდეთ, ავწონ-დავწონოთ, იქნება, ჩვენ მართლა შეგვაჩვენოს ჩვენმა თანამედროვეობამ. არ არის არაფერი გამორიცხული.

მაგრამ საკუთარი სინდისის წინაშე თუ ხარ მართალი, ამ შეჩვენებასაც გაუძლებს ადამიანი და იქნება გაუძლოს კიდეც, როგორი დაწოლაც არ უნდა იყოს დღეს ჩვენზე. ჩვენ უნდა მივიღოთ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. როგორ შეიძლება დღეს ჩვენ ჩვენი პოლიტიკა ისე გავთიშოთ. სახელმწიფოს მეთაურმა მოაწერა ხელი „სნგ"-ში შესვლას, პარლამენტი რატიფიკაციას არ აძლევს მას. რა ხდება მაშინ? ეი. ჩვენ პოლიტიკა არა გვაქვს. ერთმანეთთან ვერ შევთანხმდით, ვერაფერი ვერ გავაკეთეთ და როგორ, რით წარსვდგებით თუნდაც იმავე აშშ-ში, რას ვეტყვით? ვის უნდა დავუსაბუთოთ, რომ ჩვენ რაღაც მოვიფიქრეთ და მოვილაპარაკეთ და ვართ ერთი სახელმწიფო. ვერავის ვერ დავუმტკიცებთ ამას და სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთმა ოპოზიციის წარმომადგენელმა ეს ძალიან კარგად იცის. მაგრამ უბედურება ის არის, რომ არის უფრო ისეთი მოტივები, რომელიც არც მინდა რომ ვთქვა — ხელისუფლებისაკენ სწრაფვა ამ გზით სირცხვილია უბრალოდ და მეტი არაფერი. (ხმაური დარბაზში). მე ბოდიშს ვიხდი, მე თვითონ ვერ შევასრულე ის, რისკენაც დასაწყისში მოგიწოდებდით თქვენ და ნაკლებ ემოციური მინდოდა ვყოფილიყავი, მაგრამ, ალბათ, თქვენც დამეხმარეთ ამაში, მე ამისათვის ბოდიშს ვიხდი, კიდევ ერთხელ გთხოვთ, ავწონოთ თავიდან ბოლომდე ყველაფერი და ისე მივცეთ ხმა იმას, რა გადაწყვეტილებასაც მივიღებთ ჩვენ და რაც დღეს ასე სჭირდება საქართველოს და ქართველ ხალხს. ქართველი ხალხის ფიზიკურ გადარჩენას მივცეთ ხმა.

**თავმჯდომარე.** გმადლობთ. ბატონი აკაკი ასათიანი, შემდეგ ბატონი ზურაბ ჟვანია.

**ა. ასათიანი.** ბატონო თავმჯდომარე, პატივცემულო პარლამენტის წევრებო, ქალბატონო იზა, ძალიან გთხოვთ, დიდი ბოდიში.

ახლა დღევანდელი კამათის სიცხარე მე მგონი, არ უნდა იწვევდეს დიდ გაკვირვებას და კიდევ ახალი გაცხარების საბაბს. გამოწვეულია ეს, ალბათ, იმითაც, რომ ძალიან თავისებურ ვითარებაში გვიწევს და თავისებურ პირობებში ამ საკითხის განხილვა, და თუნდაც მარტო ამიტომ მე გაუმართლებლად მიმაჩნია საკითხის ასე გამოტანა. ეს არის ქვეყნის ისტორიაში, მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, მე არ ვიტყვი არც უახლოეს, არც უახლეს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღე ჩემი ღრმა რწმენით და თქვენის რწმენითაც და ამას არავინ არ ვდაობთ. ასეთი მომენტი ყოფილა. 21 წელს ამის საშუალება არ ყოფილა სხვათა შორის, მაგრამ აი 801-მდე კი იყო. ასეთი მსგავსი მსჯელობა იყო, იქაც სხვადასხვა პოზიციები ჰქონდათ ადამიანებს. ბატონი ჯაბა რომ იხსენებს ეგრისს, იქ ცოტა სხვანაირად იდგა საკითხი. აი, ასე დამჯდარიყო ქართველობა ეფიქროს ასეთ საკითხებზე, 21 წელს იყო იმ თვალსაზრისით, რომ ხალხმა მიიღო აშკარად დამარცხების თვალწინ, კონსტიტუცია. ჩვენ ყველანი ვთვლით, რომ დიდი სამსახური გაუწია ამით ქვეყანას და პოზიცია გაამჟღავნა ამით იმ ხალხმა. ამიტომ გაცხარებაც უნდა მოვითმინოთ, არ უნდა იყოს, მე მგონი, გასაკვირი. მე უნდა დავეთანხმო ბატონ ედუარდს, რომ ეს ხანდახან ზედმეტ სახეს იღებს, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ ყველამ, რომ სხვა პარლამენტებში, არ იქნებოდა ურიგო ხანდახან ჩვენ მაინც გვანახონ, თუ ჩვენს ტელემაყურებლებს არა, რა ხდება სხვა ქვეყნების პარლამენტებში. მე გარწმუნებთ, რომ გაცილებით უარესი. სხვა საქმეა, რომ ჩვენ გვინდა ასე ხდებოდეს. იქ მოსაწონი კი არ არის ის, ბუნებრივია. ხოლმე, არის ხოლმე მომენტები, როცა ემოციების შეკავება ძნელია. ამიტომ უემოციოდ გამოსვლებიც იქნება ძნელი. მე შევეცდები ძალიან, მაგრამ მეეჭვება, რომ თავი შევიკავო ბოლომდე. აი ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს აღარ იქნება მერე, იქნება ასე. ძნელია, მე ვიმეორებ, ვერ შევიკავებ თავს.

მე აღარ შევეხები იმ საკითხებს, რასაც აქ შეეხნენ ბატონი ივლიანე ხაინდრავა და ბატონი ვალერი კვარაცხელია. თავისთავად ცხადია, მე ძალიან პატივს ვცემ ბატონ ვალერის, მაგრამ თავიდან ბოლომდე ვეთანხმები ბატონ ივლიანე ხაინდრავას, რომელსაც პატივს ვცემ უსათუოდ და ყოველთვის პატივს ვცემდი. მე მინდა სხვა მომენტებზე ვილაპარაკო კიდევ ახლა არის ხოლმე, უცებ შევეხები ამას, ამ საკითხთან თითქოს კავშირი არა აქვს, მაგრამ საერთოდ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებასთან აქვს დიდი კავშირი.

არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ვიღაცას უნდა ხელისუფლებაში მოსვლა, არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ვიღაცა გმირის მოსასხამს ისხამს, თუ გმირის მოსასხამს ვისხამთ და ეს ვიღაცას მოსწონს, მაშინ რისი გვეშინია და რაშია საქმე მაშინ? ეს ხშირად ისმის ხოლმე. აი, ვიღაცეები ამას იმიტომ ამოწმებენ, რომ ქულები ჩაიწერონ. თუ ის ვიღაცეები ამის მეშვეობით ქულებს იწერენ, მაშინ საკითხი გადაწყვეტილი ყოფილა და დამთავრებული. ეი. იმ ვიღაცეების მხარეზე ყოფილა უმრავლესობა ხალხის. მე არ ვიცი ვის მხარეზე არის ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხალხის უმრავლესობა. მე ერთი რამ ვიცი, ძალიან დიდ პატივს ვცემ ბატონ ბორის ელცინს, მაგრამ მისი ჩამოსვლის დღეს საქართველოში, მე გახარებული კაცი არ მინახავს თბილისში. ყველას ესმოდა, რომ ეს იყო ძალიან მძიმე გადაწყვეტილება, ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე პირობები. მე იმაშიც დარწმუნებული ვარ, მე თვითონაც შევხვედრივარ მას, რომ იმ კაცს კარგი დამოკიდებულება აქვს ჩვენი ქვეყნისადმი, 9 აპრილსაც გამოამჟღავნა, რამდენადაც მას მაშინ შეეძლო, მაგრამ მისი სახელმწიფო აყენებდა ჩვენს ქვეყანას მძიმე მდგომარეობაში და აქ სწორად ითქვა; ეს არის ძალიან მძიმე იმ ქვეყნისათვის, რომელსაც აქვს თანასწორუფლებიანი მოთხოვნები, მაგრამ ეს იყო ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის და მართლაც შეიძლება ჯობდეს, ყოველ შემთხვევაში ცხადი იყო ყველასათვის და ჩემთვის პირადად ცხადია, რომ რაც უფრო მერე და მერე დაიდება, უფრო და უფრო უარესი შეიძლება დაიდოს. ახლა ვისი ბრალია ეს, ამაზე მერე გეტყვით.

ეტაპიდან ეტაპზე ვერ გადახტებაო ქვეყანა, ამას აქვს თავის ლოგიკა. ეს ლოგიკა დაარღვიეს სხვათა შორის თავის დროზე ბოლშევიკებმა, არა მარქსისტებმა, მარქსისტები სოციალ-დემოკრატები არიან, ბოლშევიკებმა, რომლებმაც გამოაცხადეს, რომ მონღოლეთმა გამოტოვა, მაგალითად, კაპიტალიზმი. გააჩნია რა ეტაპიდან რა ეტაპზე ხტები კაცი. თუ რაღაც ეტაპი მიღწეულია და იგი მიღწეულია სისხლით, ოფლით, შემართებით, წვალებით, შიმშილით, უბედურებით, მე ვერ ვხედავ ისეთ ეტაპს, რომელზეც ჩვენ ახლა ვხტებოდეთ. ვერავითარ ეტაპზე ჩვენ ვერ ვხტებით. ლაპარაკია იმ მიჯნების შენარჩუნებაზე, რომელიც მოპოვებულია. საერთოდ, მე ვფიქრობ, უხერხულია მსჯელობა იმაზე, რომ ოპოზიცია ღუპავს, ოპოზიცია ვერ დაღუპავს და თუ ხელისუფლება აყვება ოპოზიციას, ვქთვათ, ის სწორია თუ არასწორია, ეს არის სუსტი ხელისუფლება, მაშინ ის არ ყოფილა დარწმუნებული თავის სიმართლეში. ნებისმიერ ჩვენგანს, თუ ის დარწმუნებულია რამეში, რატომ შეეშინდება ვიღაცის და რაღაცის თქმის, რატომ შეეშინდება ოპოზიციის. აქ არის ერთადერთი სიმართლე, რომ ჩვენს ქვეყანაში ბოლო 5 წელია ძალიან სპეციფიკური ვითარება შეიქმნა. არის გარკვეული შინაგანი, მე ვერ ვიტყვი გაცნობიერებულ დონეზე ყოფილიყოს ეს თუნდაც 5-6 წლის წინ, მოთხოვნილება ამ ერის, რომელსაც ზურგს უკან აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, სახელმწიფოებრიობის ისტორია, განსხვავებით საბჭოთა კავშირში შემავალი ნებისმიერი ხალხისაგან, ხანგრძლივი სახელმწიფოებრიობის ისტორია, ძალიან მწარე გაკვეთილების ისტორია აქვს და ამ ხალხის პოლიტიკურ ელიტასაც კი არ გვქონდა გაცნობიერებული ბოლომდე რაოდენ ძლიერი იყო ეს ყინი თავისუფლებისა.



ამან გადაწყვიტე ბედი. ბევრი ავანგარდი იყო, ძალიან ბევრი რომ ვთქვა, ტყუილი იქნება, მაგრამ ყველას ჰქონდა ამის მოთხოვნილება და ამიტომ გადაწყდა ეს ასე. ამას სხვა პროცესები ემთხვეოდა და ა.შ. ეს ის საკითხია, რომ ამ პირობებში ძნელია... გარკვეულ მორალურ პრესს განიცდი. შანტაჟირებაც შეიძლება იყოს ერთმანეთის მიმართ აქ. ჩვენ მაშინ გულწრფელად ვილაპარაკოთ ბოლომდე. მე ვერ მოვისმინე არგუმენტი, არგუმენტებზე არის ლაპარაკი, ალტერნატივაზე არის ლაპარაკი, ალტერნატივაზე შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ დღეს ცოტა ძნელია. ასეთ საკითხებს ხალხი დღეები კი არა, თვეებს უნდება, პარლამენტები კი არა, მთელი ქვეყნები. მე უნდა გითხრათ სიმართლე, არ ვიცი, ეს არც საიდუმლოა, არც დამიმალავს, მე შევხვდი სახელმწიფოს მეთაურს, შაბათს შევხვდი, ჩვენ ვისაუბრეთ ძალიან მშვიდ ატმოსფეროში და ის არგუმენტი, რომელიც ბატონმა ივლიანემ ბრძანა, ჩემთვისაც მაინც პრობლემად რჩება. პირობები, დრო ამ საკითხის გამოტანის, მისი გადაწყვეტა რას მოიტანს. მე სხვა რამესაც გეტყვით. აი, ვიღაცას რაღაცა ამოძრავებსო. მე არა ვარ დარწმუნებული და პირიქით ვარ დარწმუნებული, სიმართლე რომ გითხრათ, რომ ამაზე ხელის მოწერა და ამის რატიფიცირება, თუ ვინმე ბატონ ედუარდს გულშემატკივრობს, ამას გეუბნებით სრულიად გულწრფელად, შეიძლება კიდევ უარესი იყოს მისთვის. მე გეუბნებით გულწრფელად, მე ასე მესმის. ამის არგუმენტირებას მე აქ არ მოვყვები იმიტომ, რომ არ არის სასურველი. ჩვენ ბევრჯერ ვლაპარაკობთ იგივე აფხაზეთთან და რუსეთთან დაკავშირებით ისეთ საკითხებზე, რომელიც სალაპარაკო არ არის. გერმანია რომ ერთიანდება, ატყდა ორივე მხარეში ერთი ამბავი, ჟრიამული, ჯერ გაერთიანებამდე კოლი გამოვიდა 15 წუთით და სიტყვა თქვა, რომ ვერ გამიგია, 50 წელი ხალხი ითმენდა და ერთ კვირას უნდა გადააყოლოს ის, რასაც 50 წელი ითმენდაო. 80 მილიონი კაცი გაჩუმდა. ხანდახან ამას ჩვენც უნდა ვხვდებოდეთ — 200 კაცი. არგუმენტიო ამბობენ, რა არგუმენტი უნდა იყოს თავისუფლების გარდა. ეს „სნგ", ეს ხელშეკრულება ჩვეულებრივი რატიფიკაციაა, ისე პრინციპულად, იგივე ხმების 2/3-დს მოითხოვს. იმიტომ, რომ ქვეყნის სტატუსთან არის დაკავშირებული, კონსტიტუციურ მდგომარეობაზეა ლაპარაკი. ეს ხომ ზღუდავს, თავს ნუ მოვიტყუებთ, ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი თუ სერიოზულად ვლაპარაკობთ, ეს ზღუდავს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს, ზღუდავს საგრძნობლად, მნიშვნელოვნად. მე მინდა მოვისმინო რას იძლევა სანაცვლოდ, აი ეს შეზღუდვა გამართლებულია რაიმე თვალსაზრისით? თორემ მე პირადად დარწმუნებული ვარ ამ წუთში არაფრის მომტანი ეს არ აღმოჩნდება. 5 თვეა ეს ქვეყანა იმყოფება „სნგ"-ში, ჩვენი სახელმწიფოს მეთაური რამდენიმე შეხვედრას დაესწრო და აქედანაც გამოცხადდა და იქედანაც, რომ ქვეყანა განიხილება როგორც წევრი. ახლა მე მესმის, რომ იქ ითხოვენ ამას და ზემოქმედება ძლიერია, რა თქმა უნდა, ამაზე ძლიერიც არაერთხელ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, არაერთხელ დადგომიან ჩვენები ხან ისპაჰანის გზას, ზოგი იმისას, ახლა შეიძლება ეწყინოს, მე დიდი პატივისმცემელი ვარ აშშ-სა, მაგრამ ახლა მოსკოვზეა ლაპარაკი. არა უშავს, ცოტა უკეთესი ვარიანტი არის იმაზე, მაგრამ პრინციპულად შეიცვალა რამე? აქედან არაფერი გამოვა, ნუ ვიდემაგოგებთ ორივე მხარე იმაზე, რომ აქედან რაღაც გამოვა, არაფერი არ იქნება. შეხედეთ, მართლა თუ ვინმე რამეს ვუყურებთ, გავახილოთ თვალი. კაი, შუქი არ არის, მაგრამ ხანდახან მაინც შევასწრებთ თვალს „ნოვოსტის" და „ვესტის" ხომ. რა ხდება იქა, ხომ ხედავთ ყველანი. დღეს გაფიცულია მთელი რუსეთი. ეს გვავალდებულებს, რომ უნდა გავიგოთ, რომ ვერაფერს ჩვენ იქიდან ვერ მივიღებთ, მაგრამ მეორეც არის, შეიძლება ეს ჩვენი მეზობელი აირიოს-დაირიოს ცუდად, ამ დროს ჩვენ არავის უფლება არა გვაქვს და ამ საკითხის გულისათვის ნუ ვიქნებით ასე, ვიმსჯელოთ წყნარად და მშვიდად, გადავწყვიტოთ ისე როგორც საჭიროა. ვინც როგორ გადაწყვეტს, მე მოღალატეს არ დავუძახებ არავის. არ დავუძახებ არცერთ შემთხვევაში. მე მეცოდინება, რომ იმ კაცმა ასე იფიქრა, ასე მიაჩნდა მას. მაგრამ დავრჩები ჩემს აზრზე უსათუოდ. მე მეცოდინება, რომ ის შეცდა, ამაში კი ვიქნები დარწმუნებული. ამას გამოაჩენს არც ისე შორეული ისტორია. მე ახლა არ ვიმუქრები და არაფერს არ ვამბობ და არაერთხელ გამოჩენილა ჩვენს თვალწინ, ამ ორი წლის მანძილზე. ხელისუფლება არ უნდა აბრალებდეს ოპოზიციას არაფერს, ეს არის ძალიან პრინციპული საკითხი. როგორც კი დაიწყებს დაბრალებას, მაშინ უნდა დაანებოს ხელისუფლებას თავი და თუ ხელისუფლებისათვის ბრძოლას შეეხება, მაშინ სხვანაირად შეიძლება დაისვას საკითხი. ხელისუფლების შესანარჩუნებლად ხომ არა ხდება ეს?

გაგრძელება იქნება


**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

ლიცენზია №87;

გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
3. ქონების შეფასება-გადაფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. №5, მე-2 სართ. ტელ: 93-15-89



მთავარი რედაქტორი
მანანა ლობჟანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი. თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06№-444
ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.